საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 118 (2034) | შაბათი, 9 სექტემბერი, 1995 წელი | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თათბირი

ქართული ვაზის გადასარჩენად

5 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების წარმომადგენლები, რაიონების ხელმძღვანელები, მინისტრთა კაბინეტის წევრები.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად დიდი პრობლემებია მევენახეობის, მეღვინეობის შემდგომ განვითარების საქმეში. დიდი ყურადღება დაეთმო წლევანდელი მოსავლის შესყიდვის საკითხებს. თათბირზე აღინიშნა, რომ ქართველ მევენახეებს ყოველმხრივი მხარდაჭერა ექნებათ, რათა ისინი გავიდნენ თანამეგობრობის ქვეყნების ბაზარზე.

თათბირზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახლა მთავარია მევენახეს იმედი არ გავუცრუოთ, არც ტყუილი გამოგვივიდეს, დაპირება — შევუსრულოთ. ამასთან, კვლავ აქტიურად ვიმუშაოთ, რათა სათანადო პირობები შევქმნათ ეროვნული ვალუტის შემოღებისა, და პრაქტიკულად, ახალ ეკონომიკაზე გადასვლისათვის.

შარშან, თელავში, თქვა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენი საუბრის ერთ-ერთი ცენტრალური თემა იყო მეღვინისა და მევენახის, ღვინის ქარხნისა და ყურძნის მწარმოებლის კავშირის საკითხი. ლაპარაკი იყო აქციონირებაზე. ახლა სპეციალურად მოვიკითხე და მეუბნებიან, რომ უკვე ოთხი თვეა მინისტრთა კაბინეტის რომელიღაც სამსახურებში დევს გადაწყვეტილება ერთობლივი აქციონირების შესახებ. სანამ ეს კავშირი არ ჩამოყალიბდება, ვენახის ბედი საქართველოში არ გადაწყდება. ახლა, ალბათ, აუცილებელია ვილაპარაკოთ სტრატეგიულ მიმართულებებზე — რამდენი ყურძენი დაგვჭირდება, რამდენი შეიძლება აწარმოოს იგი ქვეყანამ, რამდენი შეიძლება შეუკვეთონ მევენახეებს სხვადასხვა სახელმწიფოებმა. სახელმწიფოთა შორის, რუსეთთან ურთიერთობის, რუსეთის ბაზრის დაბრუნების საკითხებში უნდა დავეხმაროთ ამ დარგის მუშაკებს, მათ შორის გადასახადების შემცირების საკითხებში — იქნება ეს საბაჟო გადასახადი თუ შესაბამისად ხელსაყრელი პირობები ამ ბაზრებში შესვლისათვის. თუ დროზე არ ვიმოქმედებთ, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, რუსეთის ბაზარს საბოლოოდ დავკარგავთ, ისე როგორც დავკარგეთ უზბეკეთის ბაზარი, რომელიც ჩვენი ჩაის, განსაკუთრებით, მწვანე ჩაის მომხმარებელი იყო.

ასეთივე ბედი ეწევა ქართულ ღვინოს რუსეთის ბაზარზე. თუ რუსეთის ბაზარს დავკარგავთ, გარწმუნებთ, რომ, ალბათ, მაშინ ვენახის ფართობი 10 ათას ჰექტარამდე უნდა შევამციროთ, რადგან უახლოეს 5-6 წელიწადში ჩვენ ევროპის კონკურენციას ვერ გავუძლებთ, შეიძლება 10 წელიც დაგვჭირდეს. სხვა ქვეყნებში კი, ისეთი ბაზარი, როგორიც რუსეთშია, ბუნებრივია, არ იქნება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ საჭიროა ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც დაგვეხმარება ნორმალური, ხელსაყრელი ურთიერთობა დამყარდეს ღვინის ქარხნებსა და მევენახეებს შორის.

მწვავედ დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოდან გატანილია ნახევარზე მეტი ღვინო და საკონიაკე მასალები, უფრო სწორედ დატაცებულია თქვენ თვალწინ და თქვენი თანდასწრებით, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. ამას, ასე თუ ისე, ბოლო მოეღო. ახლა უნდა ვიფიქროთ სერიოზულ მუშაობაზე, ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და მოწესრიგებაზე. დიდი სიახლეები, სამწუხაროდ, დიდი გარდატეხა ამ ურთიერთობაში სოფლად ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა, არის რაღაც გარკვეული, საინტერესო ექსპერიმენტები... მე ვთხოვ აქ დამსწრე მეწარმეებს (მხედველობაში მაქვს ღვინის მრეწველობა) ვისწავლოთ გზა ბანკებისაკენ, არა სახელმწიფო ბანკებისაკენ, არამედ კომერციული ბანკებისაკენ, რა უნდა მოვდეს გაისად, რა კრედიტები უნდა აიღოთ, ახლა უნდა აწარმოებდეთ მათთან მოლაპარაკებას, ახლა უნდა ფორმდებოდეს შესაბამისი დოკუმენტები, ახლა უნდა იყოს გათვალისწინებული მათი ინტერესიც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქმე ლაპარაკს ვერ გასცდა. სხვა ფირმებთან ერთად, იქნებ, გამოვიყენოთ ნატურით უფრო გაბედული ანაზღაურება: მევენახე ჩააბარებს ყურძენს და შეიძლება აქციების ორი-ხუთი პროცენტი მიიღოს. ამაზეც უნდა ვიფიქროთ. ესეც ერთ-ერთი გზა არის. გლეხმა უნდა იცოდეს, რომ მართალია, მან წლევანდელი მოსავალი ჩააბარა, სამაგიეროდ, ამ ქარხნის რაღაც ნაწილი მიიღო და მომავალი წლიდან იგი მისი მფლობელია — ფულით კი არ იყიდა, არამედ ნატურით შეიძინა. ეს გზებიც უნდა ვეძებოთ და ყველაფერი გამოვიყენოთ იმისათვის, რომ წლევანდელი მოსავალი არ დაიკარგოს.

ერთი რამ მინდა შევახსენო ყველა რაიონს: ალბათ, გლეხთან, რაიონებთან ურთიერთობაშიც საკონტრაქტო სისტემამ უნდა მოიკიდოს ფეხი, გავარკვიოთ, რა არის სახელმწიფოს ვალდებულება და რა არის რაიონებისა და სოფლების, გლეხების ვალდებულება. ეს არის კოოპერაციის პრინციპი, საფუძველი.

კიდევ და კიდევ ღვინო და კონიაკის მასალების შესახებ. როგორიც უნდა იყოს, კერძო თუ სახელმწიფო, ეს მასალები უნდა აღირიცხოს. თუ კერძო ბიზნესია, არავის არ ვზღუდავთ. სადაც უნდა იქ გაიტანოს, როგორც უნდა გაყიდოს, მაგრამ ქვეყნის ეროვნულ დოვლათზე წარმოდგენა უნდა გვქონდეს. შარშან ჩვენ ვლაპარაკობდით 10 მილიონ დეკალიტრსა და ცოტა მეტზეც. ახლა უკვე 5 მილიონზე ჩამოვედი. სად წავიდა ის 5 მილიონი დეკალიტრი, რამდენი შემოვიდა, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. მგონია, ნახევარზე ან ალბათ, კიდევ მეტი, წავიდა იქით, სადაც არ უნდა წასულიყო და ვის მოხმარდა, კაცმა არ იცის. ამიტომ, ეს ამოცანა ცალკე განკარგულებად უნდა გაფორმდეს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში.

თავისი გამოსვლის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა: სამწუხაროდ, ფონი ამ მუშაობის განხორციელებისათვის არასასურველია. მოსახლეობის ნდობის ფაქტორი ძალიან დაბალია, რადგან მოსახლეობასთან სახელმწიფო პირნათელი ვერ არის (ეს დაკავშირებული იყო ინდექსაციასთან, ზოგიერთ სხვა საკითხთან). ამიტომ, უნდა შევეცადოთ, რომ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული დებულებები და გადაწყვეტილებები განვუმარტოთ, გავაცნოთ თითოეულ კომლს და შევეცადოთ, რომ ამ დადგენილებებმა და გადაწყვეტილებებმა იმუშაონ.

საქინფორმი

ეკლესია

ყოველთა სომეხთა კათალიკოსის გარეგინ პირველის ვიზიტი თბილისში

8 სექტემბერს თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა უმაღლესი პატრიარქი — ყოველთა სომეხთა კათალიკოსი გარეგინ პირველი. აეროპორტში სტუმარს დახვდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი თამაზ ნადარეიშვილი, ქალაქ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე. მისი უწმინდესობის გარეგინ პირველის საქართველოში ვიზიტის პროგრამა ფრიად ვრცელია. იგი შეხვდება სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, სომეხ სამღვდელოებას, საქართველოში სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებს. დაათვალიერებს ტაძრებს, მონასტრებს, ეკლესიებს, ეწვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

იმავე დღეს გაიმართა გარეგინ პირველისა და ილია მეორის შეხვედრა და საუბარი.

კრწანისი - 200

მწერალმა ჯანსუღ ღვინჯილიამ დაასრულა მუშაობა წიგნზე **„ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანა“**, საიდანაც მკითხველს დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე ვთავაზობთ ფრაგმენტს კრწანისის ბრძოლის შესახებ. ავტორი აანალიზებს არსებით მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისთან ქართველთა ლაშქრის დამარცხება...

სატელეფონო საუბარი

ბორის ელცინი სოლიდარობას გვიცხადებს

8 სექტემბერს, 15 საათზე გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სატელეფონო საუბარი, რომელიც ახლა მესტიაში იმყოფება. რუსეთის პრეზიდენტმა ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი და მთელი რუსეთის აღშფოთება 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დესტრუქციულ ძალებს სურდათ დემოკრატიისა და პროგრესის გზიდან აეცდინათ ქართველი ხალხი. მან თქვა, რომ სრულ სოლიდარობასა და მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და მის კურსს.

ბატონმა ბორის ელცინმა აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს მიიღებს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რის საფუძველსაც საქართველოს ახალი კონსტიტუცია ქმნის.

რუსეთის პრეზიდენტმა აცნობა ედუარდ შევარდნაძეს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების განხილვისა და გადაჭრისათვის სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი.

როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სატელეფონო საუბარში განაცხადა, იგი დიდად აფასებს რუსეთისა და პრეზიდენტ ბორის ელცინის მხარდაჭერას, სოლიდარობას. რუსეთისა და საქართველოს არჩევანი დემოკრატიული განვითარების გზაა და ვერავითარი ძალა ამ მოძრაობას ვერ შეაჩერებს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ რუსეთის განსაკუთრებული როლი საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში უახლოეს დროში მოგვცემს პრაქტიკულ შედეგებს. მან მაღალი შეფასება მისცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას რუსეთის პრემიერ-მინისტრის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ.

საუბრის დროს განიხილეს ვითარება რეგიონში, ორმხრივი ურთიერთობის ცალკეული საკითხები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.—საქინფორმი.

1995 წლის 4 სექტემბერი. საქართველოს ოფიციალური დელეგაცია სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ჩავიდა.

მიზანი: ორი ქვეყნის ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების ოფიციალური გაფორმება.

ორივე სახელმწიფოს ინტერესი ურთიერთისადმი დიდია. უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი კავკასიას და, განსაკუთრებით, საქართველოს, რომელსაც შავი ზღვა ეკვრის, სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს. უზბეკეთს საჭირო, აუცილებელ და საიმედო პარტნიორად აღიქვამს ბატონი ედუარდ შევარდნაძე. სჯერა: ამ სახელმწიფოსთან მეგობრობასა და თანამშრომლობას საქართველოსთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

საქართველოს დელეგაციის ვიზიტი რომ უზბეკეთისთვის სასურველი და სასიამოვნო იყო, ტაშკენტის აეროპორტშივე ვიგრძენით. ამის მანიშნებელი იყო თუნდაც ის ქართულად დაწერილი ტრანსპარანტები და მომღიმარი ხალხი ქუჩაში რომ ხვდებოდა.

იმ დღეს, ტაშკენტი აშკარად ამ ვიზიტით ცხოვრობდა.

ედუარდ შევარდნაძე და ისლამ ქარიმოვი ნავოის მემორიალთან.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვიზიტი

როდესაც ორი ქვეყანა ერთმანეთისკენ ილტვის

უზბეკეთის პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს წამითაც არ მოსცილებია. იგი დახვდა და გამოაცილა, ისხდნენ პირისპირ სასაუბროდ და ხელშეკრულების ხელმოსაწერად, ახლდა ყველა იმ ღონისძიებაზე, რაც ვიზიტით იყო დაგეგმილი, თუმცა ზოგიერთზე პრეზიდენტის თანხლება არც იყო აუცილებელი. ამიტომაც აღინიშნა განსაკუთრებულად საქართველოსკენ მომავალმა ბატონმა ედუარდმა, პრეზიდენტის (და არა მარტო მისი) ხაზგასმული სითბო და ადამიანური დამოკიდებულება.

ოცზე მეტი ხელშეკრულება დაიდო უზბეკეთსა და საქართველოს შორის. თუმცა რაოდენობა რა მოსატანია, როცა მთავარი ის არის, რომ ამ ხელშეკრულებით ორი ქვეყნის ურთიერთობების პრინციპები განისაზღვრება. ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ უზბეკეთსა და საქართველოს ერთმანეთი სჭირდება, მიღებული ხელშეკრულებები კი ორივესთვის სასარგებლოა.

— ყველა დადებული ხელშეკრულება მნიშვნელოვანია, — თქვა ჩვენი დელეგაციის წევრმა, **საქართველოს ვიცე-პრემიერმა ბაქურ გულუამ,** — მთავარი კი მაინც ის არის, რომ უზბეკეთსა და საქართველოს შორის დამყარდა საუკუნო ეკონომიკური თანამშრომლობა. ჩვენ მისთვის სატრანზიტო ქვეყანა ვიქნებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

მოხდა ისე, რომ ჩვენი საშინაო პრობლემების გამო მხედველობიდან გამოგვრჩა ეკონომიკური ურთიერთობები უზბეკეთთან და ნულოვან დონეზე აღმოვჩნდით, თქვა კიდეც ისლამ ქარიმოვმა: ეკონომიკური ურთიერთობების ხვედრითი წილი 0,02 პროცენტია.

მათთან გასაყოფი და სადავო არაფერი გვაქვს, დიპლომატიური, მეგობრული, ძმური ურთიერთობები მუდამ გვქონდა, მაგრამ ეკონომიკური კავშირები დავკარგეთ. უზბეკეთმაც პირი სხვა ქვეყნებისაკენ იბრუნა. როგორც ყოფილ ნავსადგურელს, მახსოვს, იყო დრო, უზბეკეთს ხორბალი, ფქვილი, შაქარი საქართველოს ნავსადგურებით შემოჰქონდა. მაშინ ჩვენი ბიუჯეტის ეროვნული შემოსავლები, ცენტრალიზაციის გამო, კაპიკები იყო, მაგრამ ხომ იყო. ახლა დამოუკიდებელნი ვართ და ბუნებრივია, მთელი შემოსავალი ჩვენს ყულაბაში ჩაიყრება.

ხელშეკრულებებზე მუშაობა რამდენიმე თვეა დავიწყეთ. შეთანხმებულად და გაგებით საქმიანობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თანამეგობრობის ქვეყნებთან მუშაობის სახელმწიფო ბიუროს თანამშრომლები, დიპლომატები, ეკონომისტები, შედეგიც მივიღეთ. ადრე გვეგონა, რომ სხვა ბარიერებთან გვქონდა საქმე, სინამდვილეში კი ამ ორ ქვეყანას უდიდესი ლტოლვა ჰქონია ერთმანეთისაკენ. დღეს კავკასიაში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელთანაც ასეთი ურთიერთობა დამყარდა. დიპლომატიური პლაცდარმის შექმნაზეც კია საუბარი, თბილისში რეგიონული საელჩოს არსებობაზე, ასე იყო ნათქვამი — უზბეკეთის პრეზიდენტის მიერ.

ტაშკენტი შუა აზიის აღიარებული ცენტრია და აქაც შეიძლება აღმოგვაჩნდეს გავლენის სფერო. ყოველივე ეს კი ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ ეს ვიზიტი ხელშეკრულებებზე გაწეული დიდი სამუშაოების ფინიში იყო.

აკაკი ჩხაიძე, საქართველოს ტრანსპორტის მთავარი სახელმწიფო კოორდინატორი: — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზბეკეთის ტვირთი მოვიზიდოთ. განსაკუთრებით, ბამბის გადაზიდვა გვაინტერესებს, რვა, ათი წლის წინათ საქართველო მუშაობდა ამაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა პირობა შევქმენით იმისა, რომ გავაქციეთ პარტნიორები. ტვირთი თავისით არ მოდის, ძებნაა საჭირო და მის პატრონს ისეთი პირობების დახვედრა უნდა, ერთხელაც მოგაკითხოს და ასჯერაც. საქართველო რომ სატრანზიტო ქვეყანა იყოს, ჰაერივით გვჭირდება, ამ გზით მილიონობით დოლარი შემოვა ბიუჯეტში. დღეს ჯერჯერობით ხელი მოვაწერეთ საავტომობილო და სარკინიგზო ხელშეკრულებას, რაც შემდგომი სატრანზიტო გადაზიდვების ხელშეკრულებათა ხელმოწერის საწინდარია, 28 სექტემბერს საქართველოში ჩამოვა უზბეკეთის მინისტრთა კაბინეტის სამუშაო ჯგუფი და სატრანზიტო გადაზიდვების ხელშეკრულებაც დაიდება.

ნოდარ ჯავახიშვილი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი: — ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას, თუ რა წესით და ვალუტით მოხდება ანგარიშსწორება უზბეკეთისა და საქართველოს ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის. ამან უნდა წაახალისოს ბანკების თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სამეურნეო სუბიექტებს შორის, ხელშეკრულებამ გზა უნდა გაუხსნას ბანკებს, ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობები დაამყარონ უზბეკეთის ბანკებთან, რაც დააჩქარებს და უფრო ოპერატიულს გახდის ამ ბანკების მიერ განპირობებულ ანგარიშსწორებას სამეურნეო სუბიექტებს შორის.

სამწუხაროდ, ანგარიშსწორება ჯერ კიდევ მკაცრად კონვერტირებული ვალუტით ხდება. მართალია, ჯერ შორსა ვართ ამისგან, მაგრამ დიდია სურვილი მივაღწიოთ რომელიმე რესპუბლიკასთან ჩვენი ვალუტით ანგარიშსწორებას. ამას კი იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ სავალუტო ბაზრის წესებზე დაახლოებით თანაბარი პირობები გვექნება. იმიტომ, რომ შუა აზიის ქვეყნები, თუ გნებავთ, მოსკოვიც, გაცილებით მეტად ერევიან სავალუტო ბირჟაზე, ვიდრე ჩვენ. მეტად კი აგებს ის, ვისაც მეტი თავისუფალი ბაზარი აქვს.

რადგან საქართველოსა და უზბეკეთს შორის იწყება შედარებით ფართომასშტაბიანი ურთიერთობა, ჩემს იქაურ კოლეგებს შევთავაზე გვეფიქრა ერთობლივი საბანკო სტრუქტურის შექმნაზე. დამეთანხმნენ, რომ ეს სამუშაო დასაწყებია.

უზბეკეთი დღეს სტაბილური ქვეყანაა. კანონის უზენაესობის წყალობით ყველა სახის დანაშაული უკიდურესად შემცირებულია. რეალური მიღწევები აქვთ ეკონომიკაში. ენერგომატარებლით სრულად არიან თვითუზრუნველყოფილნი, გაისად აღარც ხორბლის შესყიდვა დაგვჭირდებაო, გვითხრეს, დედაქალაქის ცენტრი სრულიად ახალი სტანდარტების დონეზე გამოიყურება. საკუთარ ვალუტას მყარად თვლიან. ვაჭრობითაც მხოლოდ საკუთარი ფულით ვაჭრობენ, და არც ისეთი სიძვირეა, ცხოვრება გაუსაძლისი იყოს. იქნებ ამიტომაც იყო ქუჩებში სიმშვიდე. დადიოდნენ დინჯად, მხიარული სახეებით მომზირალი ადამიანები. ერთი სიტყვით, უზბეკეთის აღმშენებლობა ფაქტია, და სიმართლე რომ ვთქვა, ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც. თითქოს ნატკენზე ფეხი დამაბიჯესო, ისე მომეწურა გული უზბეკეთის პრეზიდენტის ნათქვამზე, აღმოსავლური სიბრძნე რომ გაიხსენა: — ჩვენთან ძველ სახლს მანამ არ ანგრევენ, ვიდრე ახალს არ ააშენებენო. იმათ რომ ამ ტრადიციიდან არ გადაუხვევიათ, აშკარაა, მაგრამ ჩვენ რომ საწინააღმდეგოდ მოვიქეცით, მთლად ამ სიბრძნის უცოდინარობის ბრალი, ვფიქრობ, არ უნდა იყოს, რას იზამ, რაც იყო, იყო. დღეს, აღმშენებლობის აღმართს შემდგარი საქართველო გზებს ეძებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გზა იყო, უზბეკეთთან რომ მიგვიყვანა.

უზბეკეთში ოფიციალური დელეგაციის თითქმის ყველა მონაწილე ვიზიტის კმაყოფილი იყო. საქართველოს უკეთესი მერმისის სჯეროდა სახელმწიფოს მეთაურს. გადამდები იყო ეს რწმენა, რომელსაც ჩვენთან საუბარში მთელი დამაჯერებლობით გამოხატავდა.

— ბატონი ედუარდი, რომელიც უზბეკეთს მის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოემგზავრა, საკუთარ ჯანმრთელობაზე წინ საქმეს აყენებს, — მითხრა მისმა მკურნალმა ექიმმა ქალბატონმა გულნარა ჩაფიძემ.

ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ვერავინ შეძლებს შემოქმედებას ჩვენს ნებისყოფაზე — თქვა ბატონმა ედუარდმა თბილისის აეროდრომზე რომ ვეშვებოდით. — ვერაფრით შემაშინებენ, საქართველოს სახელმწიფო ვერ აშენდება ქურდულ ტრადიციებზე, ნაპარავ-ნაყაჩაღარზე. საქართველო შრომით უნდა აშენდეს, აზროვნების, ინტელექტის შედეგად უნდა აყვავდეს, ჩვენ ამ გზას დავადექით და ამ გზითვე ვივლით, — დასძინა ბოლოს.

უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის ოპტიმიზმი საქართველოსთან ურთიერთობაში აღარ მიკვირდა, არც მისი ესოდენი სურვილი ჩვენთან ურთიერთობისა, თუნდაც 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შემდეგ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ჩვენი საკ. კორ.

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის გაუქმების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისია.
2. საქმეების არქივში გადასაცემად მომზადებისთვის გაუგრძელდეს უფლებამოსილება საკონსტიტუციო კომისიის სამდივნოს (საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და 5 საშტატო ერთეული) ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1995 წლის 5 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორი წევრის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ გიორგი ზესაშვილი და ნუგზარ სხირტლაძე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საშემოდგომო სესიის დაწყების თარიღის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ივლის-აგვისტოში გაიმართა პარლამენტის რიგგარეშე სესია, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია დაიწყოს 19 სექტემბერს.
2. საშემოდგომო სესიის პირველ სხდომაზე განხილულ იქნეს აფხაზეთის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის მიღებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 1992 წლის 21 მაისს მიღებული (1992 წლის 31 ივლისსა და 31 აგვისტოს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით) „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება“, გარდა ამ დებულების 57-ე მუხლისა, რომელიც ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 1995 წლის 5 ნოემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

იგორ გიორგაძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

განთავისუფლდეს იგორ გიორგაძე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

ოფიციალური ფოსტა

ბატონ ოთარ ამბაკოს ძე ფაცაციას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

პატივცემულო ოთარ ამბაკოს ძევ!

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს დელეგაციის სახელით გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისა და საინტერესო, კონსტრუქციული საუბრისათვის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საარსებო მნიშვნელობის პრობლემების ყოველმხრივი განხილვა უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს სულ სხვადასხვა სფეროში ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე.

გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ირწმუნოთ ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემა.

ვლადიმერ შუმეიკო,
რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე.

წამოაყენეს ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურა

საქართველოს სოციალისტური პარტია, მისი თითოეული წევრი, და თანამდგომი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რაზეც მიღებულია პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის წერილობითი თანხმობა.

საქართველოს სოციალისტური პარტიის პრესცენტრი.

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ვ. ბერიძის ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვაჟა ბერიძე ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ჯ. კურტანიძის ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ჯუმბერ კურტანიძე ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 სექტემბერი.

მინისტრთა კაბინეტში

განიხილეს აქტუალური საკითხები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სახელმწიფო მხარდაჭერას მოითხოვს. ამ აზრმა, რომელმაც განსაზღვრა ერთი წლის წინათ გამოცემული სახელმწიფოს მეთაურის შესაბამისი ბრძანებულების შინაარსი, რომელშიც მკაფიოდ იყო განსაზღვრული ამ ამოცანის რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი, ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა 8 სექტემბერს გამართულ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, მთელ რიგ მუდმივ საპარლამენტო კომისიათა ხელმძღვანელები, ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისათვის გამოყოფილი სახსრები ამიერიდან ცალკე სტრიქონად აისახება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში. დადგინდა, რომ ეს სახსრები, რომლებსაც აკადემიის დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის იღებენ, გარდამავალია, და თუ მათ ვერ გამოიყენებენ საანგარიშო წლის განმავლობაში, მომდევნო წელს ამ დაწესებულებათა განკარგულებაში რჩება. ფინანსთა, ეკონომიკისა და საგადასახადო ინსპექციის სამინისტროებს დაევალათ ეროვნულ ბანკთან ერთად თვის განმავლობაში მოამზადონ დადგენილების პროექტი აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავლის განთავისუფლების შესახებ ყველა სახეობის გადასახადებისა და ბაჟისაგან, მათ შორის საგარეოეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული სავალუტო შემოსავალიც, და წარუდგინონ იგი მთავრობას პარლამენტის განხილვისათვის გამოსატანად. ნავარაუდევია, რომ ეს სახსრები გამოყენებული იქნება აკადემიის სამეცნიერო საქმიანობის განვითარებისთვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განმტკიცებისთვის. კერძოდ, როგორც ნათქვამია დადგენილებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდებისათვის ყოველთვიური ანაზღაურება დადგენილია 90 ამერიკული დოლარის ოდენობით, ხოლო წევრ-კორესპონდენტისა — 45 დოლარის ოდენობით. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა გამოყოს შესაბამისი თანხები ეროვნული ვალუტით. ეს დებულება ვრცელდება ყოფილი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებზეც. დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის შესაბამისი სამილიონო სახსრების გამოყოფას ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად, საფოსტო გზავნილებისა და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ასანაზღაურებლად, საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის, ჟურნალებისა და პერიოდული საინფორმაციო მასალების, უნიკალური ექსპონატებისა და საერთო-ეროვნული მნიშვნელობის ხელნაწერების შესაძენად და არსებული საგანძურების რესტავრაციისათვის, აგრეთვე სხვა საჭიროებებისათვის.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, საჭიროა შემუშავდეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ამასთან, აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებს, რათა სამეცნიერო ცენტრები კონცენტრირებული იყოს არა მარტო დედაქალაქში, როგორც ეს ამჟამად არის, არამედ ადგილებზეც. ამასთან, სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საკითხებზე, რომლებიც ეხება უკვე დაწყებულ საარჩევნო კამპანიას, კერძოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობას. სხვა-ბაასი გაიმართა წინასაარჩევნო კამპანიის მა-

ველყოფის, წამოჭრილ პრობლემებზე ოპერატიული რეაგირების საჭიროების შესახებ. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა მომავალი არჩევნების ისტორიული მნიშვნელობა და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ აუცილებელია არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარება როგორც ცენტრში, ასევე ადგილებზე. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, საარჩევნო კამპანიამ არავითარი ზემოქმედება არ უნდა მოახდინოს მთავრობის საქმიანობაზე. უფრო მეტიც, თითოეულმა სამინისტრომ და უწყებამ ამ პერიოდში უნდა გააქტიუროს მუშაობა. ამავე დროს, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, მინისტრთა კაბინეტის ნებისმიერ წევრს შეუძლია გადადგეს, თუ იგი აპირებს კენჭი იყაროს დეპუტატობის კანდიდატად. მან განაცხადა, რომ 18-19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტი განაახლებს თავის სხდომებს უკვე ყოფილი უზენაესი საბჭოს გარემონტებულ შენობაში, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისია ბინას დაიდებს შენობაში, სადაც დღემდე პარლამენტი მუშაობდა.

ბოლო ხანს მინისტრთა კაბინეტის მუშაობაში დამკვიდრდა ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურების ანგარიშების მოსმენა მათს რეგიონებში საქმის ვითარების შესახებ. ამ სხდომაზე მთავრობის წინაშე შესაბამისი ანგარიშებით წარდგნენ მცხეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე არმაზ შამანაური — რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის 8 თვის მუშაობის შედეგების შესახებ და ზესტაფონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ჯემალ გორგოძე — კრიმინალური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის ადგილობრივი გამგეობის ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შესახებ. ორივე ინფორმაცია საერთოდ მოიწონა მინისტრთა კაბინეტმა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ამ სფეროებში იდეალური წესრიგის დამყარებისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ, ამიტომ უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა რეგიონების წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების განსახორციელებლად.

მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა „1995 წლის რთველის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა ედუარდ შევარდნაძესთან წინა დღით გამართული თათბირის შედეგების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდა ამ კამპანიის სათანადო ორგანიზაციით დაინტერესებული ყველა მხარე. მოიწონეს აგრეთვე და სახელმწიფოს მეთაურს განსახილველად წარუდგინეს პროექტი მისი ბრძანებულებისა მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორების დროს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების შესახებ, რომლის შესაბამისად 1996 წლის პირველი იანვრიდან სწორედ ამ აპარატებით უნდა ისარგებლოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედმა ყველა სამეურნეო სუბიექტმა, მათი საკუთრების ფორმების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და დაქვემდებარების მიუხედავად. სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების კიდევ ერთი პროექტი, რომელიც მოიწონა მინისტრთა კაბინეტმა ამ სხდომაზე, შეეხებოდა რესპუბლიკაში ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო ფონდის შექმნის დაჩქარების ზოგიერთ ღონისძიებათა საკითხს.

საკითხებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა თავის საშემოდგომო სესიაზე უნდა განიხილოს, დაემატა კიდევ ერთი — კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ“. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ ეს კანონპროექტი მოწონებულია. მასვე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რატიფიკაციისათვის წარედგინა საქართველოს რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ხელშეკრულება ინვესტიციათა წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ვაშინგტონში 1994 წლის 7 მარტს.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

1995 წლის რთველის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში ბოლო წლებში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა. მინიმუმამდე შემცირდა ღვინომასალებისა და საკონიაკე სპირტების ნაშთები.

შესაბამისი საკრედიტო რესურსების უკიდურესი სიმცირის გამო საშიშროების წინაშეა მიმდინარე წელს წარმოებული ყურძნის რეალიზაცია-გადამუშავებაც, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მევენახეობას, ისე მეღვინეობის შემდგომ განვითარებას.

ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით:

1. ღვინის მრეწველობის საწარმოებმა ყურძნის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორება განახორციელონ ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერი ურთიერთმისაღები წესით:

ჩაბარებული ყურძნის ღირებულება აანაზღაურონ საბოლოო პროდუქციით;

ჩაიბარონ ყურძენი თანხის წინასწარი გადახდის გარეშე და მისი გადამუშავების შემდეგ ჩამბარებელს დაუბრუნონ ღვინო იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელიც საჭიროა ნედლეულის გადამუშავების დანახარჯების დასაფარავად, ან საწარმომ ჩამბარებელს დაუბრუნოს გადამუშავებული ღვინის მთლიანი რაოდენობა, ხოლო ჩამბარებელმა დაფაროს გადამუშავების ხარჯები არაუგვიანეს 6 თვის ვადისა;

მოახდინონ საწარმოში არსებული ღვინის ნაშთების რეალიზაცია და ამონაგები თანხით შეისყიდონ ყურძენი;

ჩაბარებული ყურძნის ღირებულება აანაზღაურონ ნატურით (მარცვალი, ნავთობპროდუქტები და სხვა);

ინვესტორებთან ანგარიშსწორება მოახდინონ მზა პროდუქციით.

2. იმ იურიდიული და ფიზიკური პირების ქონებრივი უფლებები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა, რომლებსაც სურთ მევენახეებისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილი ყურძნის გადამუშავება ღვინის საწარმოებში, აგრეთვე გამომუშავებული ნედლეულისაგან სამარკო ღვინოების, კონიაკებისა და შამპანურის ტიპის ცქრიალა ღვინოების დამზადება, პროდუქციის წარმოების მთელი ციკლის პერიოდში გარანტირებულ იქნეს ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედი კანონების საფუძველზე.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ღვინის საწარმოები ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირისაგან გადასამუშავებლად მიღებული ნედლეულის ღირებულების დაფარვის გარანტად დებენ საწარმოთა ძირითად საშუალებებს, ხოლო რუსეთის ფედერაციიდან მოზიდული ინვესტიციების გარანტად გამოიყენება საქართველოს იურისდიქციაში მყოფი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განლაგებული ღვინის საწარმოების მატერიალური ფასეულობები.

3. ნება დაერთოთ სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბებულ პირველად ღვინის ქარხნებს ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ანგარიშზე ნებაყოფლობითი წესით ჩამბარებლებს გადასცენ შესაბამისი ღირებულების აქციები ქარხნისათვის დაწესებული აქციების საკონტროლო პაკეტის ფარგლებში.

4. რუსეთის ფედერაციიდან მოზიდული ინვესტიციებით შეძენილი ღვინის დროულად გადატვირთვის მიზნით სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (რ. ვაშაკიძე) უზრუნველყოს ვაგონ-ცისტერნების შეუფერხებელი მიწოდება ღვინის ქარხნების მიერ წარმოდგენილი განაცხადების მიხედვით.

5. საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების კონცერნმა (თ. შავდათუაშვილი) უზრუნველყოს საწვავის მიწოდება ყურძნის მწარმოებლებისათვის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) კონსიგნაციით (12 დღის გადავადებით) რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ განაცხადების მიხედვით.

6. საქართველოს რესპუბლიკის საქენერგოს დეპარტამენტმა (დ. ზუბიტაშვილი) უზრუნველყოს რთველის პერიოდში ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციამ (ა. გოგელია) უზრუნველყოს რესპუბლიკაში რთველის მიმდინარეობის გაშუქება.

8. მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა მევენახეობის რაიონების გამგებლებმა უზრუნველყონ ყურძნის სარეალიზაციო შეზიდვა სამრეწველო ქალაქებსა და საკურორტო ზონებში.

9. რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „სამტრესტმა“ ყურძნის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების შემდეგ უზრუნველყოს ღვინის ქარხნებში დარჩენილი ღვინომასალების დასაძველებლად შერჩევა.

10. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 7 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ზ. ჯიქიას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზონდო ჯიქია ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ე. ჩარგაზიას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ედიშერ ჩარგაზია ქ. ზუგდიდისა ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 სექტემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 2

საარჩევნო კომისიის მუშაობის წესის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში სამუშაო დროდ განისაზღვროს 10 საათიდან 18 საათამდე, შესვენება 13 საათიდან 14 საათსა და 30 წუთამდე. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
2. კომისიებში ყოველგვარი განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება განხორციელდეს ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დროში.

ივანე კიღურაძე,
კომისიის თავმჯდომარე,

3 სექტემბერი, 1995 წელი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 3

საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს ტერიტორიაზე 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი დადგენილების დანართში მითითებული დასახელებებითა და საზღვრებით.

ივანე კიღურაძე,
კომისიის თავმჯდომარე,

5 სექტემბერი, 1995 წელი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 3-ის დანართი

საარჩევნო ოლქები		საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების სია
1. მთაწმინდის საარჩევნო ოლქი		ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონი
2. ვაკის	„	ქ. თბილისის ვაკის რაიონი
3. საბურთალოს	„	ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი
4. კრწანისის	„	ქ. თბილისის კრწანისის რაიონი
5. ისნის	„	ქ. თბილისის ისნის რაიონი
6. სამგორის	„	ქ. თბილისის სამგორის რაიონი
7. ჩუღურეთის	„	ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონი
8. დიდუბის	„	ქ. თბილისის დიდუბის რაიონი
9. ნაძალადევის	„	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონი
10. გლდანის	„	ქ. თბილისის გლდანის რაიონი
11. საგარეჯოს	„	საგარეჯოს რაიონი
12. გურჯაანის	„	გურჯაანის რაიონი
13. სიღნაღის	„	სიღნაღის რაიონი,
14. დედოფლისწყაროს	„	დედოფლისწყაროს რაიონი
15. ლაგოდეხის	„	ლაგოდეხის რაიონი
16. ყვარლის	„	ყვარლის რაიონი
17. თელავის	„	თელავის რაიონი
18. ახმეტის	„	ახმეტის რაიონი
19. თიანეთის	„	თიანეთის რაიონი
20. რუსთავის	„	ქალაქი რუსთავი
21. გარდაბნის	„	გარდაბნის რაიონი
22. მარნეულის	„	მარნეულის რაიონი
23. ბოლნისის	„	ბოლნისის რაიონი
24. დმანისის	„	დმანისის რაიონი
25. წალკის	„	წალკის რაიონი
26. თეთრიწყაროს	„	თეთრიწყაროს რაიონი
27. მცხეთის	„	მცხეთის რაიონი
28. დუშეთის	„	დუშეთის რაიონი
29. ყაზბეგის	„	ყაზბეგის რაიონი
30. კასპის	„	კასპის რაიონი
31. ახალგორის	„	ახალგორის რაიონი
32. გორის	„	ქალაქი გორი და გორის რაიონი გარდა ლიახვის საარჩევნო ოლქისა
33. ქარელის	„	ქარელის რაიონი
34. ჯავის	„	ჯავის რაიონი
35. ხაშურის	„	ხაშურის რაიონი
36. ბორჯომის	„	ბორჯომის რაიონი
37. ახალციხის	„	ახალციხის რაიონი
38. ადიგენის	„	ადიგენის რაიონი
39. ასპინძის	„	ასპინძის რაიონი
40. ახალქალაქის	„	ახალქალაქის რაიონი
41. ნინოწმინდის	„	ნინოწმინდის რაიონი
42. ცხინვალის	„	ქალაქი ცხინვალი
43. ონის	„	ონის რაიონი
44. ამბროლაურის	„	ამბროლაურის რაიონი
45. ცაგერის	„	ცაგერის რაიონი
46. ლენტეხის	„	ლენტეხის რაიონი
47. მესტიის	„	მესტიის რაიონი
48. ხარაგაულის	„	ხარაგაულის რაიონი
49. თერჯოლის	„	თერჯოლის რაიონი
50. საჩხერის	„	საჩხერის რაიონი
51. ზესტაფონის	„	ზესტაფონის რაიონი
52. ბაღდათის	„	ბაღდათის რაიონი
53. ვანის	„	ვანის რაიონი
54. სამტრედიის	„	სამტრედიის რაიონი
55. ხონის	„	ხონის რაიონი
56. ჭიათურის	„	ჭიათურის ზონა
57. ტყიბულის	„	ტყიბულის ზონა
58. წყალტუბოს	„	წყალტუბოს ზონა
59. ქუთაისის	„	ქალაქი ქუთაისი
60. ოზურგეთის	„	ოზურგეთის რაიონი
61. ლანჩხუთის	„	ლანჩხუთის რაიონი
62. ჩოხატაურის	„	ჩოხატაურის რაიონი
63. აბაშის	„	აბაშის რაიონი
64. სენაკის	„	სენაკის რაიონი
65. მარტვილის	„	მარტვილის რაიონი
66. ხობის	„	ხობის რაიონი
67. ზუგდიდის	„	ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის რაიონი
68. წალენჯიხის	„	წალენჯიხის რაიონი
69. ჩხოროწყუს	„	ჩხოროწყუს რაიონი
70. ფოთის	„	ქალაქი ფოთი
71. სოხუმის	„	ქალაქი სოხუმი
72. გაგრის	„	გაგრის ზონა
73. გალის	„	გალის რაიონი
74. გუდაუთის	„	გუდაუთის რაიონი
75. გულრიფშის	„	გულრიფშის რაიონი
76. ოჩამჩირის	„	ოჩამჩირის რაიონი
77. სოხუმის	„	სოხუმის რაიონი
78. ტყვარჩელის	„	ქალაქი ტყვარჩელი
79. ბათუმის	„	ქალაქი ბათუმი
80. ქედის	„	ქედის რაიონი
81. ქობულეთის	„	ქობულეთის რაიონი
82. შუახევის	„	შუახევის რაიონი
83. ხელვაჩაურის	„	ხელვაჩაურის რაიონი
84. ხულოს	„	ხულოს რაიონი
85. ლიახვის	„	გორის რაიონის სოფ. ზერულას ვანათის, ვერის, ბელოთის, ქსუისის, არცევის, ღრომის, ზიყარის, ქურთის, ქემერტის, ძარის, წეთაგუროვის სასოფლო საბჭოები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 4

პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონის საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდეს შემდეგი პარტიები:

1. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია;
2. საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი;
3. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია;
4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
5. საქართველოს აგრარული პარტია;
6. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
7. ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია;
8. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია;
9. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი;
10. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მხედრიონი“;
11. პარტია „სამშობლო“;
12. საქართველოს სამართლიანობის პარტია;
13. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია;
14. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი;
15. საქართველოს კომუნისტური პარტია;
16. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია;
17. საქართველოს აგრარული კავშირი;
18. დემოკრატიული პარტია;
19. საქართველოს ლიბერალურ-კონსერვატიული პარტია;
20. მოქალაქეთა პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ქალები არჩევნებისთვის“;
21. საქართველოს დემოკრატიული კავშირი.

ივანე კიღურაძე.
კომისიის თავმჯდომარე,

7 სექტემბერი, 1995 წელი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, დადიანის ქუჩა, № 5, ტელ.: 98-70-10, Fax 98-70-00, E-mail: elect a cec. ge.

რუსეთის პრესის სარკეში

ვის გასახარად, ვის გულის გასახეთქად „შევარდნაძე ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობს“

თუმცა საზარელი საბაბით, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ ხმამაღლა შეახსენა მსოფლიოს საკუთარი თავი. პირველ რიგში იმით, რომ **ნებისმიერ, უაღრესად ტრაგიკულ და დაძაბულ სიტუაციებშიც კი იგი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ წარმართავს შექმნილ ვითარებას.**

ასე შეიძლება დავახასიათოთ 29 აგვისტოს თბილისში მომხდარ სენსაციურ ამბავზე კომენტარების საერთო ფონი. მოსკოვის გაზეთების უმეტესობამ კეთილგონივრული დამოკიდებულება გამოიჩინა საჩოთირო თემის მიმართ, სენსაციად ჩათვალა არა თვით თავდასხმის ფაქტი ან, თუნდაც, მისი სასიკეთო დასასრული, არამედ რეაქცია, რომელიც მას მოჰყვა.

„იზვესტიამ“ ზედიზედ ორ ნომერში დაწვრილებით გააშუქა მომხდარი ამბავი და დასვა კითხვა: **„რა დგას ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის უკან?“**. ეს ინფორმაციები ყველაზე ამომწურავია ინფორმაციულობის თვალსაზრისით და ყველაზე ზუსტია შეფასების მხრივ იმ, ჩვენთვის ცნობილი ვერსიებიდან, რომელთა წაკითხვაც მოვახერხე რუსულ პრესაში. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ პუბლიკაციების ავტორები საქმეში გარკვეული ხალხია.

თეიმურაზ მამალაძემ „ცხელ კვალზე“ მოსკოვიდან სატელეფონო ინტერვიუ ჩამოართვა სახელმწიფოს მეთაურს და სათაურში გაიტანა მისი სიტყვები: „ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების ნიშანი“ და დაასკვნის: **„ტერაქტის ცეცხლიდან ამ ადამიანმა შეიძინა გამარჯვების ძალა — მოვლენების ცხელ კვალზე გამოკითხულ საქართველოს მოქალაქეთა 98,4 პროცენტმა დაგმო თავიანთი ლიდერის სიცოცხლის ხელყოფის ცდა და განაცხადა, რომ უყოყმანოდ მხარს დაუჭერს მის კურსს“.**

გაზეთი **„სეგოდნია“** იტყობინება, რომ **„შევარდნაძე ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობს და განაცხადა, რომ მზად არის კენჭი იყაროს პრეზიდენტის პოსტზე“**. გაზეთი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტით, რომ საქართველოში არ გამოცხადდა საგანგებო წესები.

„პრავდამ“ ამჯერად თავი აარიდა კომენტარებს და ორი დღის განსჯის შემდეგ გვამცნო, რომ შევარდნაძე დაჭრილია და **„თბილისის მოვლენებმა შეიძლება სერიოზულად გაართულოს მოლაპარაკებები ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოგვარების თაობაზე“**. „პრავდა“ არ განმარტავს რა ურთიერთკავშირშია ეს ორი სხვადასხვა გარემოება.

ასეა თუ ისე, რუსეთის ჟურნალისტებმა ამოწურეს ყველა ჩვენთვის ცნობილი ვერსიები და ელიან, რომ გამოძიების შედეგები არანაკლებ სენსაციური იქნება.

ბოლშევიკებს „მხედრის მხნეობის“ იმედი აქვთ

ახლა მიმდინარე მოვლენებს რაც შეეხება. რუსეთის კომპარტიამ, რომელმაც დააფრთხო დემოკრატები თავისი წინასაარჩევნო შეტევით, გაზეთ **„სოვეტსკაია როსიაში“** გამოაქვეყნა თავისი „წინასაარჩევნო პლატფორმა“. ეს არის პოლიტიკური რეტრო ჟანრის საინტერესო დოკუმენტი. იქ წარმოჩენილია რუსეთის მთელი ისტორია — თქმულებებიდან ილია მურომეცზე — რეალურ ვლადიმერ ლენინამდე. დოკუმენტის ავტორთა აზრით, ამ ისტორიის გმირები არჩევნებში კომუნისტური კანდიდატების ყველაზე მთავარი „ელექტრორატი“ იქნებიან. თუ როგორ მისცემენ „ისტორიული გმირები“ თავიანთ ხმებს იმ ქვეყნიდან, ამას არ აზუსტებენ, მაგრამ, როგორც პროგრამის ბოლოში ნათქვამია, პარტიის მთავარი იმედია **„მხედრის მხნეობა და პატრიოტის პატიოსნება“**.

რუსეთმა უარი თქვა სეპარატისტთა ადვოკატის როლზე

გაზეთმა „სეგოდნიამ“ „აფხაზური დემარშით“ ახსნა ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკების მორიგი ჩაშლა. მოჰყავთ ბორის პასტუხოვის აზრი: **„მოლაპარაკება უხეშად ჩაშალა აფხაზურმა მხარემ“ და მას „უბრალოდ დრო გაჰყავს“**. „აფხაზეთის წარმომადგენლები“ სამშობლოში წავიდნენ კონსულტაციისათვის, რასაც ორი-სამი თვე დასჭირდება! გაზეთის აზრით „ჩიხი“ წარმოიქმნა იმის გამო, რომ ჯერ კოზირევმა, მერე კი შუმეიკომ „მკაცრად ილაპარაკეს აფხაზთა ლიდერ არძინბას მიმართ“ და ამით რუსეთმა აგრძნობინათ, რომ **„უარი თქვა აფხაზ სეპარატისტთა ადვოკატობაზე ედუარდ შევარდნაძის წინაშე და ისინი საქართველოსთან პირისპირ დატოვა“**.

სავალუტო ბრძოლა კომერციულ ბანკებთან

„ფინანსოვიე ნოვოსტი“ გაფრთხილებას იძლევა, რომ შესაძლოა ფართომასშტაბიანი მერყეობა ბანკთაშორის ბაზარზე. რუსეთის ბანკების ასოციაციის ექსპერტის ლ. მაკარევიჩის აზრით, დარტყმა ნედლეულის კაპიტალზე და მასთან დაკავშირებულ ბანკებზე „ზუსტად არის დაკავშირებული წინასაარჩევნო ბრძოლის დაწყებასთან“. პროვოცირებული სავალუტო კრიზისი ექსპერტს სახელმწიფო კაპიტალის მიერ კომერციული ბანკების წინააღმდეგ გამოცხადებულ ომად მიაჩნია და ამბობს, რომ **„სიძნელეები შეექმნებათ მეზობლებს დსთ-დან“** თუ მათ ვალებს აანგარიშებენ გაიაფებული დოლარებით, ხოლო გადაახდევინებენ გაძვირებული მანეთებით. ეს კიდევ უფრო მაგრად გაკვანძავს პრობლემებს უკრაინასთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთთან, შუა აზიის რესპუბლიკებთან, აზერბაიჯანთან, **საქართველოსთან**, მოლდოვასთან, „ცენტრისკენულის ნაცვლად შეიძლება კიდევ უფრო მძლავრი ცენტრიდანული ეფექტები წარმოიქმნას“.



ერთობლივი მანევრები ამერიკელთა გამარჯვებით

ვლადიმერ ნადეინის კორესპონდენციაში (**„იზვესტია“**) აშშ-დან მოთხრობილია ერთობლივ სამხედრო მანევრებზე, რაც, თავისთავად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგრამ ავტორი ირონიას ვერ ფარავს: „საბჭოთა ჯარები შეუკავებლად მიდიოდნენ შეტევაზე, არღვევდნენ თავდაცვაში მყოფი ამერიკელების წყობას... თუმცა, უფრო ხშირად ამერიკელები იმარჯვებდნენ. — და, მაინც კარგია, რომ მათთან არ გვიომია, — წინდახედულად შენიშნა მოიერიშე მხარის წარმომადგენელმა“.

გამოცხადებული გადატრიალების ეპილოგი

დაბოლოს, კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. ამჯერად — ღიმილით. ჟირინოვსკიმ, რომელმაც მისნის ახალი როლი მოირგო, იწინასწარმეტყველა, რომ აგვისტოს ბოლოს რუსეთში მოხდება ახალი რევოლუცია „რადიკალურ-დემოკრატიული“ ძალების მონაწილეობით. ეს წინასწარმეტყველება სიამოვნებით გამოაქვეყნა **„სოვეტსკაია როსიამ“**, რითაც საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საკუთარი თავიც და წინასწარმეტყველიც, ვინაიდან ვლადიმერ ვოლფოვიჩის მიერ გამოცხადებული გადატრიალება არ მომხდარა.

გილოცავთ.

იური მოსიაშვილი.

ბედი ქართლისა

კრწანისის ტრაგედია



„ერეკლე მეორე“.

მხატვარი დავით მაისაშვილი.

1770 წლის 19 აპრილს ეკატერინე მეორის მიერ საქართველოში გამოგზავნილმა ტოტლებენმა მოულოდნელად შეწყვიტა ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ აწყურთან და უკან გაბრუნდა. ერეკლე მეფემ რამდენიმეჯერ სთხოვა ტოტლებენს, არ მიეტოვებინა ბრძოლის ველი. ბოლოს ცხენიდანაც ჩამოხტა, მუხლზე დაიჩოქა და ისე შეევედრა, მაგრამ ტოტლებენმა (უკვე მერამდენედ! გასცა გულგრილი პასუხი, ჩვენი იმპერატორი თურქეთს დაუზავდა და ნაბრძანები მაქვს უკან გაბრუნებაო. ქვეყნის ინტერესებისათვის ერეკლე მეფე არ მოერიდა თავის დამცირებასაც კი. იგი — აღმოსავლეთის სახელოვანი სარდალი და მეფე — მუხლმოყრით ევედრებოდა ტოტლებენს.. რაკი მუხლზედაჩოქილი ერეკლეს თხოვნაც არად ჩააგდო, ყველაფერი გასაგები უნდა ყოფილიყო, რუსთა დახმარების ყოველი იმედიც ამოიწურა. მაშინ კი...

..**ალექსანდრე ორბელიანის** ცნობით, ერეკლე მეფე ერთ ადგილზე ახტა შინაგანი რისხვით და ცეცხლით ატაცებული. ზურგზე მოევლო თავის ცხენს, ქართველებს შეუძახა, აქ დამარცხება არ იქნებაო და ბრძოლის ველისაკენ გაქანდა..

ასპინძის ბრძოლა, ვიცით ყველამ, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მაშინ ერეკლეს უნიკალურმა სამხედრო ხელოვნებამ და ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა!

1795 წელს ტბილისთან 75 წლის ერეკლეს აღარ შეეძლო, შინაგანი რისხვით დატენილი ერთ ადგილზე შემხტარიყო, ცხენს ზურგზე მოვლებოდა და სრულად გამოევლინებინა თავისი უნიკალური სამხედრო ხელოვნება. კრწანისთან ბრძოლა გმირული ბრძოლის ნიმუში იყო.. ვიცით ყველამ, როგორ წარიმართა მოვლენები, როგორ სახელოვნად გაიმარჯვეს პირველ შეტაკებაში ქართველებმა, რომ აღა-მაჰმად-ხანი გაბრუნებას აპირებდა, რომ მოღალატენი გამოჩნდნენ და ერეკლეს ჯარის სიმცირის შესახებ შეატყობინეს მტარვალს..

ერეკლესა და მისი ჯარის გმირობის მიუხედავად დავმარცხდით, ერეკლე სიკვდილს ეძებდა ბრძოლაში, სამასი არაგველი ერთიანად შეაწყდა მტერს და სახელოვანი ფურცელი ჩასწერა საქართველოს ისტორიაში — სამასი სპარტელის თავგანწირვა გამეორდა.

რუსეთის ჯარები მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდნენ თბილისში — გადამწვარსა და დანგრეულ ქალაქში..

კონკრეტული ფაქტების დახვავებით მკითხველს აღარ შევაწუხებ, ყველაფერი ეს ცნობილია..

კრწანისის ტრაგედიის არსზე მოგახსენებთ რამდენიმე სიტყვას.

კრწანისის ტრაგედია რუსეთმა და დასავლეთ ევროპამ მოამწიფეს. ირანი და თურქეთი თავისთავად იგულისხმება. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ქრისტიანული სამყაროს მაღალი იდეალები ბინძურ პოლიტიკას შესწირეს. არც რუსეთმა და არც დასავლეთ ევროპამ არ შეასრულეს თავისი ისტორიული მისია — დახმარებოდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს, ყოფილიყვნენ ნამდვილი მფარველები. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემა და თავისი იმპერიული ინტერესები მათ ყველაფერზე მაღლა დააყენეს, საქართველოსა და სომხეთის ქრისტიანობა მხოლოდ საბაბად ესაჭიროებოდათ, რათა ამიერკავკასიაში დამკვიდრებულიყვნენ.

საქართველო პოლიტიკის კრატერში ჩაეშვა! რუსეთის, დასავლეთ ევროპის, ირანისა და თურქეთის ინტერესების თანხვედრა ახლო აღმოსავლეთში სწორედ რომ პოლიტიკის კრატერია.

საქართველო გარემოცული იყო! პოლიტიკური ინტერესები უკიდურესად გამძაფრდა ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, ამიერკავკასიაში.

ევროპისა და აზიის შესაყარზე, თუ გნებავთ გზაგასაყარზე, ინტერესთა ასეთი დაჯახება მოულოდნელი არ ყოფილა საქართველოსათვის, მაგრამ XVI-XVII-XVIII საუკუნეები გაუსაძლისი აღმოჩნდა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ვითარება კატასტროფულად შეიცვალა, რუსეთის აქტიურ გამოსვლას ასპარეზზე კი ირან-თურქეთის გამძვინვარება მოჰყვა.

გაჩნდა პოლიტიკური კრატერი. ჩვენ ბევრი ვიკაკლუცეთ და მხოლოდ ორ ვეშაპს — ირანსა და თურქეთს ვასახელებდით ხოლმე. ოთხივე ჩამნთქმელი ვეშაპი გახლდათ: ირანიც, თურქეთიც, რუსეთიც და დასავლეთ ევროპაც. ამ ოთხი ვეშაპის დაღებულმა ხახამ გააჩინა პოლიტიკური კრატერი, რომლის ფსკერისაკენ დაქანების საფრთხე დაემუქრა საქართველოს. კრატერმა მოიწადინა მისი შესრუტვა..

სიკერპე, დიპლომატია, პოლიტიკა, შემართება, თავგანწირვა, ის ფენომენებია, რომელთა ამოქმედების გარეშე ერი თავს ვერ გადაირჩენდა.

ქრისტეს რჯულის ერთგულება ერის ხვედრი იყო, იგი რაობის გადარჩენის საიდუმლოც გახლდათ. ერი ხვედრსაც ერთგულებდა და რაობასაც.

საქართველოს სამეფო ტახტი ირყევა, კრატერი მძვინვარებს,.. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბიძგები ირყევს. ტახტისათვის ბრძოლამ წინ გადაუსწრო საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლას ბევრი მეფის ცნობიერებაში და ქვეყნის გამოფიტვის პროცესი ამ მოვლენამაც გააღრმავა.

საქართველო იმარჯვებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის თავში პოულობდა ძალას, როდესაც ხსნას, უწინარეს ყოვლისა, თავის თავში ეძიებდა, როდესაც ერთმანეთთან დააპირისპირებდა ირან-თურქეთს და ისარგებლებდა მათი დაპირისპირებით.

საქართველოს ირან-თურქეთთან ბრძოლები არ მოუგია ან რუსეთის ან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რეალური დახმარებით.

მწარე გამოცდილებას უნდა ეკარნახა ქართველთათვის ფხიზელი აზრი იმის შესახებ, რომ კვლავაც თავისი თავის იმედი უნდა ჰქონოდა.

გამოფიტვამ სწორედ ამ ფოკუსში გაამჟღავნა თავი. მწარე გამოცდილების მიუხედავად მაინც გარეშე სახელმწიფოებთან წანწალში ხედავდა გამოსავალს ქვეყნის მესვეურთა აბსოლუტური უმრავლესობა. ეს უკვე საგანგაშო გახლდათ. ერი საყრდენს კარგავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დიდი სახელმწიფოებრივი შენობა მალე თავზე დაენგრეოდა.

მეფობაც კარგავდა შინაარსს. იგი არაფერს არ ჰგავდა უკვე, დამცირებული, შეურაცხყოფილი გამოიყურებოდა.

ახლოვდებოდა დასასრული ქართული სახელმწიფოებრიობისა; აღსასრულის ტალღებს ქართველი ერი ფარად აგებებდა ძლევამოსილი საქართველოს ოდინდელ ავტორიტეტს და ინერცია მართლაც აკეთებდა თავის საქმეს, ჯერ კიდევ ვლინდებოდა ამ ძლევამოსილების პოტენცია ქამიქამ. მაგრამ სადამდე! ინერციაც იფიტებოდა ყველაფერთან ერთად და იმედად თვითშენახვის ფარული პროცესი რჩებოდა მხოლოდ.

საქართველო უკვე აღარ იყო დიდი და ანგარიშგამწევი სახელმწიფო. იგი ვერავის ვერაფერს დააკლებდა, თავად ითხოვდა შველას და მორჩა! მსოფლიო პოლიტიკამ თავზე გადაუარა ქვეყანას და წაშალა იგი. ქვეშ მოიქცია. მისი ტერიტორია, როგორც პლაცდარმი, მარგალიტივით ძვირფასი იყო ყველასათვის და ამდენად ქართველი ერის გაწირვაც აგრერიგად ეიოლებოდათ.

ჩვენ გაცილებით უბედური ერი ვიქნებოდით, საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში რომ ჩაბარებოდა რუსეთს — ასე უიმედო, ხელჩაქნეული, გატეხილი, საკუთარი ძალების უარმყოფელი და სხვისა ხელის შემყურე.

საბედნიეროდ, არ მოხდა ასე. საქართველომ შეიძლო საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების იშვიათი მობილიზება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ახლა აქედან გარკვევით ჩანს, რომ ეს გახლდათ საქართველოს ისტორიულ პროცესში საკუთარი ძალების კონცენტრირებით გამოხატული ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა! მაშინ ასე არ განიცდიდა ხალხიდან ქვეყანა, საჭას წალმა შემობრუნება სურდა მხოლოდ. აქედან კი ჩანს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი მოწადინება იყო იგი. ერმა ყველაფერი გააკეთა, რათა არ დაეთმო საშველი სიმაღლე!

საქართველო გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს. გრძნობდა როგორ ვიწროვდებოდა სალტე, ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა ოთხი ვეშაპი ერთდროულად ყოველი მხრიდან — იცოდა, რას მოასწავებდა ეს..

არენაზე ერეკლე მეორე გამოჩნდა, უწვეროულა ყმაწვილი, ნადირ-შაჰის მიერ მძევლად დატოვებული და ყანდაარს ნაბრძოლი, ირანის სახელმწიფოებრივი წყობის კარგად მცნობი. იგი შემოდის ასპარეზზე, როგორც შურდულიდან გამოსროლილი ქვა, ენერგიული და ელვარე. ერეკლე მეორე თავისი პირველი ნაბიჯებით კატეგორიულად აცხადებს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს, არ ელოდება დელეგაციების მიერ ჩამოსატან საიმედო ცნობებს, არ აპყრობს წყლიან თვალებს ჩრდილოეთს და დასავლეთს. ლეკები შესევია ქვეყანას? ლეკებს უნდა გაავლო მუსრი, ყიზილბაშები აწიოკებენ ხალხს? ყიზილბაშებს უნდა მიუხტე, ოსმალები ავიწროებენ? ოსმალებს უნდა ასროლინო კუდით ქვა!

ერეკლეს რწმენით, გარეშე ძალა შემწედ და დამხმარედ მხოლოდ მაშინ იქცეოდა, თუკი ერი მთელ თავის ენერგიას დაუპირისპირებდა მტრულ სამყაროს, თუკი თავად გამართავდა საღვთო ომს, თუკი მოიყვანდა თავს წესრიგში. გამოქვაბულებს ნახირივით მიმწყდარი ხალხი ვერ შეეცოდებოდა, ან ვინ სცემდა პატივს, ვინ გაუწევდა ანგარიშს. მოკავშირე მაშინ მოდის, როდესაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვი და მაგრად დგახარ დედამიწაზე.

აქ გამოთქმული აზრები არსად დაუწერია ერეკლე მეორეს, მაგრამ მის მიერ მოხდენილი მოვლენები პირდაპირ გაჰკივიან ამის შესახებ. ფაქტზე მეტად რომელი აზრი გამოხატავს სათქმელს. ყმაწვილი ერეკლე ეს დიდგულა საქართველოა, შხუილით მოაპობს ჰაერს ასპარეზზე, ატანილი ცეცხლოვანი ვნებით, — იპოვოს ქართველში ქართველი! შერჩა კი ძალა ერს, სისხლი, ჯიგარი თუ შერჩა ქართველობას? თავად ძალითა და ენერგიით იყო სავსე, ტანით პატარა, მაგრამ დიდი ფიზიკური ღონის პატრონი, უბადლო მეომარი, რაც მთავარია, იშვიათი სარდალი! მაგრამ გასარკვევი იყო, ხალხს რა შეეძლო, ასე შემცირებულს, ასე შეთხელებულს, ასე მიმოფანტულს.

ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ხელმძღვანელობით საქართველომ მონახა თავის თავში ძალა დაპირისპირებოდა განსაცდელს. ამას გვიმტკიცებს აღმოსავლეთსა და დასავლეთში გადახდილი ურიცხვი ბრძოლა. თუ თურქეთის, თუ ირანის, თუ დაღესტნის, თუ აღმოსავლეთის სახანოების წინააღმდეგ გადახდილი მასშტაბური ბრძოლების მოწმენი ვართ. თუ კარგად დავაკვირდებით არ შეიძლება არ დავინახოთ XII-XIV საუკუნეების ძლევამოსილი საქართველოს ნაშთის აჯანყება ერეკლესა და სოლომონის სახით. დიახ, ეს ნაშთია, „ნაშთი ძველი დიდებისა“, შემცირებული ძლევამოსილებაა იგი. 600 ან უკეთეს შემთხვევაში 700 ათასამდე შემცირებული ერი იბრძვის. დიდი საქართველოს შორეულ შთამომავალს რომ ეკადრება, ისე იბრძვის. არ უნდა არენიდან უსახელოდ წასვლა! ეს ერთი! კვლავ წამოდგომას ცდილობს. ეს მეორე! კვლავაც თავისი მისიის აღსრულებას ესწრაფვის! ეს მესამე!

თვალის ერთი გადავლებით გავიხსენოთ ერეკლესა და სოლომონის მიერ გადახდილი ბრძოლები.

1748 წელს ქართლ-კახეთმა უკანასკნელად მოუხადა ხარკი ირანის შაჰს.

1749 წელს ერევნის ხანის თხოვნით თეიმურაზი და ერეკლე თურქმანულ ტომებს შეებნენ სომხებთან ერთად და გაიმარჯვეს.

1750 წელს განჯის ხანის თხოვნით ყარაბაღის ხანზე ილაშქრეს და გაიმარჯვეს.

1751 წელს აზატხანი ავღანი 18 ათასიანი ჯარით შემოადგა ერევანს, ერეკლემ სასტიკად დაამარცხა იგი.

1752 წელს დაამარცხეს შაქის ხანი.

1754 წ. მჭადისჯვართან თეიმურაზმა და ერეკლემ დაღესტნელთა დიდი ჯარი გაანადგურეს.

1755 წ. ავარიის ხანის 20 ათასიანი არმია სასტიკად დაამარცხეს ყვარლის ციხესთან.

1760 წ. ერეკლე ამარცხებს განჯის ხანს.

1765 წ. ერეკლემ გაანადგურა ქართლში მის წინააღმდეგ მომზადებული შეთქმულება.

1770 წ. მოხდა ასპინძის ბრძოლა!!!

1778 წ. ერეკლე ამარცხებს ფათალი ხანს და განჯაში შედის.

1779 წ. ერევნის სახანო დალაშქრა.

1784 წ. ერეკლემ რუსთა ჯარის ნაწილები მოიშველია და მუღანლოსთან დაამარცხა ლეკები.

1785 წ. ახალციხის მხრიდან შემოჭრილი ლეკები დაამარცხა.

1795 წ. ყარაბაღის ვიწროებში აღა-მაჰმად-ხანის მიერ გამოგზავნილი 8-ათასიანი ჯარი დაამარცხეს ქართველებმა შუშის სახანოს ჯართან ერთად.

არაფერს ვამბობ „წვრილ-წვრილ“ ლაშქრობებზე დაღესტნელი ლეკების წინააღმდეგ, რომელთაც თვლა არ აქვს!

ერეკლემ და თეიმურაზმა ღალატის შედეგად მარცხიც იწვნიეს 1751 წ. აგრი-ჩაისთან (განჯის ხანმა უღალატა მათ).

1752 წ. განჯასთან დამარცხდნენ.

1757 წ. სოლომონ I თავს დაესხა ხრესილთან მდგომ თურქთა უზარმაზარ ჯარს და გაანადგურა იგი.

1760 წ. იმერეთში თურქეთის 20-ათასიანი ლაშქარი შემოიჭრა, იმერეთის ჯარმა დაამარცხა და განდევნა იგი.

1763 წ. 18-ათასიანი თურქთა ჯარი შემოიჭრა, სოლომონ I ესეც გაანადგურა, განდევნა.

1763 წელსვე უფრო დიდი ლაშქარი შემოიჭრა თურქეთისა, მაგრამ კვლავ ძლეულ იქნენ.

1766 წ. თურქთა უზარმაზარმა ლაშქარმა იმერეთი დალაშქრა, ქუთაისიც აიღო, მაგრამ კვლავ დამარცხდნენ და უკან გაბრუნდნენ.

1768 წ. ჩხართან თურქეთის ჯარი კიდევ დაამარცხა სოლომონმა.

1769 წ. რაჭის ერისთავი როსტომი ალაგმა.

1773 წ. ერეკლე და სოლომონი ყარსის მიმართულებით ლაშქრობენ, არტაანამდე მიდიდნენ, სოლომონის ავადმყოფობის გამო დაბრუნდნენ უკან.

1776 წ. სოლომონმა სამეგრელო დალაშქრა და დადიანი დაიმორჩილა.

1779 წ. იმერეთისა და სამეგრელოს შეერთებულმა ლაშქარმა რუხის ციხესთან დაამარცხა თურქეთის ჯარი, რომელსაც აფხაზები მოკავშირეობდნენ. „წვრილ-წვრილ“ ბრძოლებზე არც ამ შემთხვევაში ვამახვილებ ყურადღებას.

1784 წ. სოლომონ პირველი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საქართველო ყველასათვის ანგარიშგასაწევი სახელმწიფო შეიქმნა — დასავლეთ ევროპისათვისაც, რუსეთისთვისაც, თურქეთ-ირანისთვისაც, დაღესტნელი ლეკებისა და აზერბაიჯანის სახანოებისათვის ხომ თავისთავად! სახელოვან ბრძოლებს უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც გამოხმაურება სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, ევროპის პრესაში. საფუძველი ჰქონდა ფრიდრიხ მეორის განცხადებასაც — დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში — ერეკლე ხანიო.

აი, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შემიძლია მე. ეს აზრი დააწინაურა თითქოს ზედიზედ ქვეყანამ. ეს მაქსიმუმი კი ძალზე დიდი იყო თავისი მნიშვნელობით.

ბრძოლები, რომელიც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებმა გადაიხადეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დიდი სახელმწიფოების საშველი ბრძოლებია. ასე აღიქვამდა მაშინდელი მსოფლიო, ასე აღიარებდა ყველა.

ყოველისაგან მომდინარეობდა ერთი უმთავრესი აზრი: საქართველომ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ არ დაეკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მან თავგანწირვით იბრძოლა, დაძლია უნდობლობაც საკუთარი ძალისადმი, რომელიც ბოლოხანს მოეძალა.

ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ბრძოლა ნამდვილად არის საქართველოს ენერგიის სრულფასოვანი დემონსტრირება.

ამ ბრძოლებმა ერეკლე და სოლომონი დაარწმუნა, რომ სისხლისაგან დაწრეტილ საქართველოს მაინც შეუძლია დიდი სახელმწიფოს შესატყვისი ენერგია გაიღოს და მასშტაბური ისტორიული მოვლენები მოახდინოს. მაგრამ ამაშიც დაარწმუნა, რომ ესეც კი არ კმარა **მსგავს გარემოცვაში** სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. არ კმარა! გარემომცველი მტრული სამყარო ოკეანესავით იყო მომდგარი ოთხივ მხრიდან და ნთქავდა კბილებალესილ ქვეყანას. დიდი სახელმწიფოს საშველი ბრძოლები კი გადაიხადა ქვეყანამ, მაგრამ მართლა დიდი სახელმწიფო ხომ არ იყო! მაინც სულთმობრძავია! ერეკლესა და სოლომონის იშვიათი ნიჭის წყალობით მეორე სუნთქვა გაეხსნა ქვეყანას, მაგრამ როგორც კი ისინი მოშორდებიან ასპარეზს, რა რეზერვი რჩება? — რიცხობრივად კატასტროფულად შემცირებული, ეკონომიკა მოშლილი, იმპერიების გარემოცვაში მოქცეული, ჩასაყლაპავად ათვალთვალებული ქვეყანა! აი, რა რჩება!

გულისმომკვლელი კანონზომიერება გამოიკვეთა: ქვეყნის ბედი მის თავს ზემოთ წყდებოდა ისეთ სამაღლეზე, სადაც საქართველოს უკვე ხელი აღარ მიუწვდებოდა. მის ბედს წყვეტდნენ რუსეთი, ირანი, თურქეთი და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები. ახლო აღმოსავლეთის პრობლემა მათ თავიანთ სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტათ, ეს იყო უმთავრესი ამოცანა და არა აქ მდებარე დიდი ისტორიის მქონე საქართველოსა და სომხეთის ჭეშმარიტი მფარველობა.

ალექსანდრე კახთა მეფემ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს გაუგზავნა ვრცელი წერილი ჩრდილოეთის დიდ ხელმწიფეს, სადაც საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რუსეთი მფარველის მოვალეობას არ ასრულებს, მოლაპარაკების ყველა პირობა ირღვევაო. დამოუკიდებელ საქართველოს რუსეთის იმპერია ერთხელაც არ ჩამოეშველა სერიოზული ძალებით ამ ორი საუკუნის განმავლობაში. თვლა არ აქვს სიტუაციებს, სადაც მან საქართველო დაალალატა.

თვლა არ აქვს დასავლეთ ევროპაში დახმარების სათხოვნელად დელეგაციების გაგზავნის ფაქტებს და იქიდან მიღებულ დაპირებებსაც. სერიოზული დახმარება არც დასავლეთ ევროპას გაუწევია ქვეყნისათვის ამ ორი საუკუნის განმავლობაში.

მეთვრამეტე საუკუნეში კი ახლო აღმოსავლეთის საკითხი უმწვავეს პოლიტიკურ საკითხად იქცა და დიდი სახელმწიფოები თავიანთ სასარგებლოდ მის გადაწყვეტას ესწრაფვოდნენ, განიხილავდნენ ამ საკითხს დიდ სახელმწიფოთა დონეზე, სადაც საქართველოს აღარაფერი ეკითხებოდა, სწორედ იმიტომ რომ აღარ იყო დიდი სახელმწიფო. უყურებდნენ რუსეთი და დასავლეთ ევროპა მას როგორც განწირულს, სულის მლაფავ ქვეყანას და ილტვოდნენ არა გადასარჩენად, არამედ მის დასასაკუთრებლად. რუსეთს არჩეული ჰქონდა შორიდან თვალთვალის პოლიტიკა, ფხიზლად აყურადებდა, როდის დაიწრიტებოდა ქვეყანა სისხლისაგან, რათა ამის შემდეგ დაუფლებოდა, იმასაც უთვალთვალებდა, ირანი ან თურქეთი არ დაპატრონებოდა. ამიტომ ჯარის ნაწილები ორი ფეხის ნაბიჯზე ჰყავდა საქართველოდან გამზადებული, შემოჰყავდა და გაჰყავდა ის ჯარის ნაწილები ამ მოთვალთვალე პოლიტიკის შესაბამისად. ერთი-ორჯერ წაეშველა კიდეც ერეკლეს მცირე ძალებით მტერთან ბრძოლაში, მაგრამ დასაყრდენ ძალად არასდროს ქცეულა.

ამიტომ ითხოვდა ერეკლე რუსებისაგან დროზე ჯარების მოშველებას აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ, ამიტომ აგზავნიდა წერილს წერილზე..

რუსეთის ორი ბატალიონი გადამწვარ და დარბეულ თბილისში დეკემბერში შევიდა მხოლოდ! აცალა კარგად აღა-მაჰმად-ხანს ქვეყნის აოხრება, დაელოდა ერეკლეს დამარცხებას, ქვეყნის სისხლისაგან დაწრეტას..

გაოცებული უყურებდნენ შორიდან რუსეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს. ზემოთ მშრალად ჩამოთვლილი ბრძოლები დიახაც იწვევდნენ მათ გაოცებას, დიახაც დიდი სახელმწიფოს შესაფერისი სამხედრო ოპერაციები იყვნენ ისინი, პრინცი ერეკლე მალე ირანის ტახტზე დაჯდებაო, ასეთი ცნობაც კი გამოქვეყნდა. მაგრამ არც რუსეთს, არც დასავლეთ ევროპას მიზნად არ დაუსახავს ამ ქვეყნის გადარჩენა, ქრისტიანული სამყაროს განსამტკიცებლად საქართველოს და სომხეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ისინი უბრალოდ, ნახევარი საუკუნით შეაჩერა ერეკლეს და სოლომონის მიერ გამოვლენილმა ენერგიამ. დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა შეაფიქრიანა რუსეთიც და დასავლეთ ევროპაც. ეს იყო და ეს.

კრწანისის ტრაგედია ჩვენც მოვამწიფეთ. დიდი სახელმწიფო იმად არ ვიყავით, რომ შიდა ბრძოლებით გამოვფიტეთ საქართველო. ამიტომ თანამონაწილენი ვართ ქართველებო, კრწანისის ტრაგედიისა. პირველი მიზეზი თავად ვართ საქვეყნო უბედურებისა, არც ამ შიდა ბრძოლების ფაქტთა დახვავებას აქვს აზრი, რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ! 600 ათასამდე ქართველობა მარტო გარეშე მტრის მიზეზით არ დასულა, შიდა ბრძოლებით და ტყვეთა სყიდვით დაილია ქვეყანა.

უფრო სახელოვნად, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველომ იბრძოლა, ვერცერთი დიდი სახელმწიფო ვერ იბრძოლებს, უმაგალითო გმირობის ნიმუში იყო თავად კრწანისის ბრძოლაც, მაგრამ იკვეთება სავალალო აზრი: თუ დიდი სახელმწიფო არა ხარ, დიდი სახელმწიფოს შესაფერი ბრძოლების გადახდასაც არ აქვს თურმე აზრი. მაინც არაფერი გშველის, რადგან როგორც კი ასპარეზიდან ღვთის მიერ ნაჩუქარი ერეკლე და სოლომონი წავლენ, საცოდაობად რჩები, უსუსურ პატარა ქვეყნად რჩები, რომლის ფანტასტიკური გაბრძოლებები მხოლოდღა აოცებთ ეგოისტური პოლიტიკური ინტერესებით აღჭურვილ იმპერიებს..

კრწანისს ჩვენ მუდამ გავიხსენებთ, როგორც წინაპართა თავგანწირვისა და გმირობის ისტორიულ ფაქტს. — იქ ერეკლეა! იქ სამასი არაგველია! იქ მაჩაბლის დასია! იქ სახელოვანი წინაპრები ჰქუხან! მაგრამ ვერასდროს ვიზეიმებთ კრწანისს, რადგან იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გედის სიმღერაა, მისი აღსასრულის მაუწყებელია.

კრწანისის ტრაგედია დიდი აზრის შემცველია ჩვენთვის. პოლიტიკურ კრატერში ჩვენ, ქართველებმა, თავად გადავუძახეთ ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით, რომ დიდი სახელმწიფო ვერ შევინარჩუნეთ, ჩვენს რაობას ვერ მივხედეთ, გადავაგვარდით და დავიშალეთ! თუ ჩვენს თავს არ ვშობთ ხელახლა, თავს არ მოვიწესრიგებთ და ღირსეულ ერად არ ვიქცევით, ვერც ახლა შევქმნით ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ანგარიშს გაუწევს მსოფლიო. როცა კრწანისზე ვფიქრობთ, ეს აზრი უნდა გვიტრიალებდეს თავში, იგი მართალი აზრია და როგორც ყველა მართალი აზრი, ზედმეტად შემაწუხებელიც, მაგრამ თუ ყურს არ დავუგდებთ, მიზანი მიუღწეველი დარჩება...

ამ ისტორიულმა მოვლენებმა იძულებული გახადა ერეკლე, რომ „გადაეწყვიტა ბედი ქართლისა“.

ჯანსუღ ღვინჯილია.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

მთარგმნელისგან

ამ ლექსების ავტორი ჩვენი თანამემამულე, — ამჟამად კანადის მოქალაქე გახლავთ. ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა პრესითა და ტელევიზიით იცის ვასო მარგველაშვილის საქართველოსათვის სასარგებლო საქმიანობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ჯერაც მძიმე ვითარება გულგრილად არ ტოვებს კაცს, რომელსაც დედოფალ ელისაბედის წინაშე ერთგულების ფიცი აქვს დადებული. ეს ფიცი მის სულს არ ათავისუფლებს საქართველოსადმი ერთგულებისაგან. ვიდრე ჩვენი ქვეყანა სავალალო პირობებში იმყოფება და თავის საკადრის მდგომარეობას მიაღწევს, ვასო მარგველაშვილის რომანტიკულმა ბუნებამ მისთვისვე მოულოდნელად სულიერი თავშესაფარი პოეზიაში პოვა. ეს არის მისი პირველი ლექსები, 47 წლის ასაკში უეცრად რომ დაუწერია... ვასო მარგველაშვილმა კარგად იცის თავისი დედაენა — ქართული, მაგრამ, რადგან განათლება რუსულ სკოლასა და უმაღლესში მიუღია, დაგუბებული სათქმელი უფრო ადვილად სწორედ რუსულ ენაზე ამოთქვა. ამასთან იგი ინგლისური ენის სპეციალისტია და ამ ენაზეც ცდილობს ლექსის წერას. გთავაზობთ მისი ლექსების ქართულ თარგმანს.

მზია ხეთაგური.

ვასო მარგველაშვილი

* * *

ჩემი მკლავების ტყვეობაში
ჩაკარგული
სულ პაწაწა ხარ!
გიყურებ და ტკივილამდე
მტკივა ეჭვი —
ნუთუ გიყვარვარ...
ის აზროვნება, რომელიც
შემრჩა,
შემახსენებს უეცრად და
მოუთმენლად
შენი სიყვარულით სავსესა და
მოსურნეს,
შუადღის ცეცხლში გახვეულს,—
ფერმკრთალ ზიზღზე რომ
მეუბნები:
ნუ წახვალ,
მაგრამ როცა წახვალ,
დაბრუნდი...
მე, — ვისაც მსურს, რომ
მართლა დავბრუნდე —
ვეკითხები: მართლა გიყვარვარ?
. . . .
ნეტავი რისთვის!

პასუხი შენს წერილზე

შენ ხარ მართალი? მე ვარ
მართალი?
ვინ იცის, ან ვინ
გაგვასამართლებს?
ბედი? ჩვენ თავად? ვინ აწერს
კალმით
ასეთ წერილებს ჩვენს
მისამართებს?
რად არა მკითხე, მსურდა
წერილი?
შენ მსურდი მხოლოდ...
მინდიხარ ახლაც!
ჩაივლის ღამე თავაწყვეტილი
და მერე ჩვენი სულები მაღლა
აფრინდებიან... და სინანულით
ცად გაიხსნება როცა სარკმელი,
გაგვახსენდება, რომ სიყვარული
ვერ დავასრულეთ, დაგვრჩა
სათქმელიც...
ვერ დავასრულეთ
მრავალწერტილი
ამბორი, ცრემლი და მოფერება...
ჩაიფერფლება ყველა წერილში
ის, რაც ჩვენში არ ჩაიფერფლება.

შავ-თეთრი ლექსი

შენი სული და თეთრი მანდილი
თეთრად ფრიალებს ველზე
ბრძოლების
და სიყვარულის გამოძახილით
თავად სიყვარულს ემზორება.
და სულ ერთია რა ფერი აქვს
შორიდან შენი მანდილის ფრიალს,
როცა სიმძიმე ტანჯვით
მიათრევ
და მაინც მაწვდი ხავერდის
ფრთიანს.
ეს შავი ღამე თეთრ ფიქრს
მაგონებს,
შავ-თეთრი სევდა წავა და მოვა,
მაგრამ მკვიდრდება სისხლის
კანონი
და სისხლისფერი მზადდება
გლოვა.
ბავშვიც სისხლია, სისხლის
ნაგლეჯი,
ფერს ვერ აირჩევს, სისხლი
აჭობებს,
სისხლისფერია თვით გამარჯვება
ძალისმიერი უღლაჯობით.
შავ-თეთრ ვარდებში დილის
სურნელით,
საგაზაფხულო სიზმრის წადილით
პასუხს ვერ აღწევ... მაინც
ჩურჩულებ:
ვის გინდათ ჩემი თეთრი მანდილი?
რა ფერის იყო, როდესაც იშვა
ცრემლი, კვლავაც რომ
მოგეძალება?
თეთრი ხომ ზოგჯერ ძაძასაც
ნიშნავს,
ხოლო სიცოცხლე —
გარდაცვალებას?

* * *

ჰარმონიული ლირხების მიღმა
აღმოგაჩინე, მაინც, დისონანსს...
თუ უსინდისო შენს სინდისს იცავს.
მაშინ სინდისიც უსინდისოა.

* * *

ო, ერთადერთი ქალის მშვენება,
ვით პეპელა მრავალფრთიანი
ყვავილიდან ყვავილზე ფრენით
და ჩემს სულში მტვრის ნაზი ფრქვევით
კვლავ შემახსენებს, იმ სიყვარულს,
რომელიც ასე მოსთქვამს და კვნესის,
რადგან არ ძალუძს იმგვარად ფრენა...
ყვავილთ ნექტარი — უვადო შხამი
მიწამლავს სულს და ბრალს სდებს არვის...
მე — დაჭრილსა და გულნაიარევს,
როგორც პეპელას ყვავილიდან და უყვავილოს
მიყვარს... მაგრამ ვერ ვაგნებ იმ გზას,
სადაც ყვავილის ფაქიზი მტვერი
გზის შავ მტვერს ერთვის
და მხოლოდ ჩემთვის,
ო, მხოლოდ ჩემთვის
მოფრქვეულია მარად გულუხვად.

* * *

მე შენს ქალწულებრივ მკერდს
მსურს, ჩემი გულუბრყვილობით მივეყრდნო
და მოვეხვიო შენს სხეულს, როგორც
ალვის ხეს, ოღონდ არა მაღალს,
და მაინც — ალვას,
რომელიც დგას ყველა დროის უღელტეხილთან,
ყველა გზაჯვარედინზე,
ყველა მხრიდან
ყველა ჯურის ქარით ნაქროლი და
გულგახსნილი.
ბედი არ იყო შენს მიმართ თბილი
და ჩემსავით ალერსიანი...
მაინც არ დაცხრებიან ქარები
და ბედის ფურცლებს უკან აღარ დაგიბრუნებენ...
და შენ — ალვის ხე — მარტოხული და ტანმორჩილი,
ბედისწერას ქალწულებრივი სიჯიუტით და მეხსიერებით
თვალს გაუსწორებ.

სალომეს

სალამი, შვილო! ჩემო გოგო, ჩემო პატარავ,
რომელსაც ცხრამთას იქით გხედავ, მაგრამ ვერ გწვდები...
მადლობას გიხდი შენს თბილ ხელებს,
რომლებიც ასე რუდუნებით მიხატავენ
ფერად სურათებს შენი წარწერით
და ნაცნობი შენი სურნელი
ჩამოაქვთ შენგან ჩემთვის უცნობებს ჩვენი ქვეყნიდან.
ხანგრძლივი არის წერილები... სატელეფონო ზარებიც — გრძელი...
მანძილი კი უფრო დიდი, უფრო გაზრდილი
და როცა, თუნდაც ერთი წამით, შენს ხმას გავიგებ,
მერე სურათზე დიდხანს ვუცქერ შენს ძვირფას მზერას.
ვიცი. რომ ისევ მენატრები,
ან იქნებ, — ღმერთმა მაპატიოს და — უკვე მშორდები!
მამა ვარ, მაგრამ ისე შორს ვარ, იქნებ მანძილმა
გადაგავიწყა ჩემი თავი?
მაგრამ მე მოვალ! ჩამოვაღწევ! ჩამოვფრინდები!
და ძველებურად ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტებით,
დაუპატიჟებელ ცრემლებს გულში ჩავიბრუნებ და
შენ მაპატიებ, თუკი მაინც ავტირდები...
მე ხომ ამდენ ხეტიალში მუდამ მახსოვხარ,
ყველგან მახსოვხარ, მენატრები და ვფიქრობ შენზე
და გამუდმებით მესმის შენი ხმა,
ხმა წკრიალა, ხმა მშობლიური,
რომელიც ისევ მეკითხება: მამიკო, სად ხარ?

* * *

თუკი სხვაც მიყვარს, როგორღა შევძლებ
ასე მიყვარდე, ან სხვა მიყვარდეს,
თუ შენ არსებობ, თუ შენ მიყვარხარ?
როგორ შევძლებდი იმ „სხვის“ სიყვარულს,
სხვისას, რომელიც არ არის ჩემი!
შენ ხომ ჩემი ხარ? ან იქნებ არც ხარ?
მაგრამ მე მჯერა, რომ ჩემი ხარ, არსებობ ჩემში
და ღამეს ათევ მოლოდინში, მე კი ხანდახან,
ვარ სადღაც უცხო, გაურკვეველ სულთან, ეშმაკთან
და ეს ეშმაკი შექმნილია მხოლოდ იმისთვის,
რომ გამოვექცე, დაგიბრუნდე და ვიყო შენი,
მიყვარდე, მწამდეს, რომ არ არის არცა ეშმაკი,
და არცა ღმერთი
და ყველას ნაცვლად შენ ხარ მხოლოდ, შენ —
ერთადერთი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბოსნიაში განახლდა ნატოს ავიაციის რეიდები

„მას შემდეგ, რაც ბოსნიელი სერბების ფორმირებების სარდალმა, გენერალმა მლადიჩმა უგულებელყო გაეროს მოთხოვნები შეეწყვიტათ თავდასხმები უსაფრთხოების ზონებზე“, მოეხსნათ სარაევოს ირგვლივ ალყა და გაეყვანათ მის ირგვლივ 20 კილომეტრის რადიუსის „უსაფრთხო ზონიდან“ მძიმე შეიარაღება, ნატოს ავიაცია კვლავ აგრძელებს ბოსნიელი სერბების პოზიციების და სამხედრო ობიექტების ინტენსიურ დაბომბვას. მათ შორის, სარაევოს მიდამოებში.:

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა განაცხადა, რომ ნატოს ავიაციის რეიდები და სწრაფი რეაგირების ძალების საარტილერიო ცეცხლი გაგრძელდება, ვიდრე ბოსნიელი სერბები არ შეასრულებენ გაეროს მოთხოვნებს და არ დარწმუნდებიან, რომ მათთვის გამორიცხულია სამხედრო გზით დასახული მიზნების განხორციელება.

საფრანგეთის არცთუ ახალი ინიციატივა

საფრანგეთის ჯერ განზრახვამ, განეხორციელებინა მიწისქვეშა ბირთვული გამოცდების სერია, შემდეგ კი პირველმა გამოცდამ საფრანგეთის პოლინეზიის ატოლ მორორუაზე — მსოფლიოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს შვიდივე დაგეგმილი გამოცდა მომავალი წლის მაისის ჩათვლით. საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადებით, „ეს აუცილებელია საფრანგეთის ბირთვული იარაღის შესამოწმებლად და სათანადო დონის უზრუნველსაყოფად“. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალან ჟიუპემ ისტერიულად მიიჩნია ზოგიერთი საპროტესტო მოქმედება, აღნიშნა, რომ „თუმცა ყოფილი საბჭოეთის ბირთვული საფრთხე აღარ არსებობს“, აუცილებელია საფრანგეთის ბირთვული შემაკავებელი პოტენციალის შენარჩუნება, რომ არავინ უწყის, თუ როგორი ვითარება შეიძლება შეიქმნას მსოფლიოში თუნდაც ხუთი წლის შემდეგ და რომ საფრანგეთის ბირთვული პოტენციალი ევროპის უსაფრთხოებასაც ემსახურება.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მინისტრმა შესთავაზა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განიხილონ საფრანგეთის ბირთვული იარაღი, როგორც გერმანიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარი, შეკავების ერთობლივი პოლიტიკის განხორციელების საშუალება. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა აღნიშნა, რომ „ეს ინიციატივა გერმანიის ყურადღებას იმსახურებს“. თავის მხრივ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ფოლკე რიუემ თავშეკავებულად განაცხადა, „გერმანია უკვე ირიბად სარგებლობს ნატოს ბირთვული ფარით“. მისი ფრთხილი განცხადება, როგორც ჩანს, ითვალისწინებს იმ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რომელიც შეიძლება მოახდინოს გერმანიის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევის შესაძლებლობამ არა მარტო ევროპაში. დიდი ბრიტანეთიც გარკვეული თავშეკავებით და სიფრთხილით შეხვდა საფრანგეთის ამ ინიციატივას. **ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს გენერალ დე გოლს საკუთარი ბირთვული იარაღი ქვეყნის პრესტიჟისა და დამოუკიდებლობის აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნდა ე. წ. ანგლოსაქსონური ალიანსის საპირისპიროდ და ევროპაში საფრანგეთის პოზიციების განსამტკიცებლად.** ალან ჟიუპეს აზრით, საფრანგეთის ბირთვული იარაღი საერთოევროპული ბირთვული შეკავების სისტემის შემადგენელი კომპონენტი უნდა გახდეს.

ირაკლი ჯაფარიძე.

აჭარა

გვექნება საზღვაო ბორანი:

ვარნა-ილიჩოვსკი-ბათუმი

ვარნა-ილიჩოვსკი-ბათუმი — ასეთი იქნება საზღვაო-საბორნო გადასასვლელი, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩადგება საქართველოს სამსახურში.

ამ დღეებში ბათუმს ეწვია წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: შავი ზღვის სანაოსნოს უფროსის მოადგილე ვალერი სოლოდოვნიკოვი, უკრაინის საზღვაო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანატოლი ივჩენკო, სომხეთის მრეწველობის მინისტრის მოადგილე გენრიხ მალხაზიანი, რუსეთის რკინიგზის მინისტრის მოადგილე ვიქტორ სტეცენკო და სხვები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ლეგენდარული კოსმონავტი გერმანე ტიტოვი.

ისინი შეხვდნენ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ბათუმის ნავსადგურის ხელმძღვანელებს, დაათვალიერეს ნავსადგურის ის მისადგომები, სადაც უახლოეს ხანში დაიწყება საბორნო გადასასვლელის მიღებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები.

ახალ საზღვაო ხაზზე იმოძრავებს „გეროი შიპკის“ ტიპის ბორანი, რომელიც გემბანზე იტევს 108 ვაგონისგან შემდგარ შემადგენლობას, რასაც, დღევანდელი სატრანსპორტო ბლოკადის პერიოდში, მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი რესპუბლიკებისათვის.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ ასლან აბაშიძესთან შეხვედრისა და საუბრის დროს დელეგაციის წევრებმა განიხილეს აგრეთვე ყირიმ-კავკასიის საზღვაო ხაზის აღდგენის საკითხი.

— კარგი დასაწყისი, რომელსაც ჩავუყარეთ საფუძველი, — გვითხრა დელეგაციის ხელმძღვანელმა გერმანე ტიტოვმა, — აჭარის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. აქ მეც ვხედავ ჩემი ძალების გამოყენების შესაძლებლობას, როგორც მოსკოვის გორკის სახელობის პარკის სამეცნიერო-ტექნიკური და გასართობი კომპლექსის ორგანიზატორი, კოსმოსური კომპლექსის კონვერსიის ცენტრისა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელი.

ვარნა-ილიჩოვსკ-ბათუმის საბორნო გადასასვლელის შექმნის უშუალო მონაწილემ, მოსკოვის ფირმა „სენთრაკოს“ პრეზიდენტმა ილია მანიკმა კი გვითხრა: ბათუმის ნავსადგურთან ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას ერთობლივი ფირმის შექმნაზე, რომელიც მოემსახურება ბათუმში აგებულ ნავმისადგომს ბორნისათვის. უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები. წინასწარი გაანგარიშებით, პროექტი, რომლის განხორციელებასაც დააფინანსებს ჩვენი ფირმა, დაჯდება 15 მილიონი დოლარი. მშენებლობა უნდა დავამთავროთ 1996 წლის ივლის-აგვისტოში.

შეხვედრების დროს ხაზი გაესვა იმას, რომ საბორნო გადასასვლელის გახსნა და ყირიმ-კავკასიის საზღვაო ხაზის აღდგენა მრავალ პრობლემას მოუხსნის საქართველოს და სხვა რესპუბლიკებსაც. იგი გადაწყვეტს პროდუქციის გატანის პრობლემას, როგორც რუსეთისა და ევროპის, ასევე აზიის ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის აღმავლობას.

— ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, — თქვა ბათუმის ნავსადგურის უფროსმა ასლან ბოლქვაძემ, — რომ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ეს სიკეთე დროულად ჩავაყენოთ საქართველოს სამსახურში. გარწმუნებთ, ეს ასეც იქნება!

გია ჭელიძე,
„სრ“ საკ. კორ.

გვიწვევს გივი ბერიკაშვილი და ახალგაზრდობა!..

როგორც იცით, ამ გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ანშლაგით ჩაიარა საგასტროლო კონცერტების სერიამ — „მღერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“. სცენა ამჯერად ახალგაზრდა მსახიობებს ეპყრათ.

და აი, 9 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით, ეს პროგრამა კვლავ განახლდება ფილარმონიის სცენაზე.

— ამ კონცერტებით ხსნის თავის სეზონს შოუ-ბიზნესის ცენტრი „ლომისი“ — უთხრა „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს ცენტრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, აღნიშნული კონცერტების სცენარის ავტორმა და რეჟისორმა **ჯემალ ბალაშვილმა.**

— თეატრისა და კინოს მსახიობებმა შესაშურ ნაჭიერებასთან ერთად თავმდაბლობაც გამოიჩინეს — უარი თქვეს „ვარსკვლავობაზე“ და სწორედ ამიტომ ეს კონცერტები ჩატარდება ახალი სათაურით — „გივი ბერიკაშვილი და ახალგაზრდობა“. ვფიქრობთ, ეს „ბერიკაცი“, დიდ გამოცდილებასა და ოსტატობას შესძენს მათ...

პროგრამა ოდნავ შეიცვალა — საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოემატა რამდენიმე ძალზე ნიჭიერი მსახიობი და ისინი კარგად „ჩაჯდნენ“ საერთო ანსამბლში...

მაშ, 9 სექტემბრიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გიწვევენ ნინელი ჭანკვეტაძე, გია როინიშვილი, გია ბურჯანაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, გურამ ჯაში და სხვები, ისინი თავიანთ „მამობილთან“ — გივი ბერიკაშვილთან ერთად სასიამოვნო წუთებს გპირდებიან.

ჩოგანი

ბარაქალა, ჯონდო!

წლევანდელ სპორტულ სეზონში საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მცხეთელმა სამბისტმა ჯონდო მუზაშვილმა (71 კგ) მოუტანა. სოფიაში დასრულებული ამ უმაღლესი რანგის ტურნირის ფინალში ჩვენმა თანამემამულემ აზერბაიჯანელი კასიმოვი დაამარცხა.

საპატიო კვარცხლბეკზე კიდევ სამი ქართველი მოჭიდავე ავიდა. ასპარეზობის მეორე პრიზიორი გახდა კასპელი ივანე გამხიტაშვილი, ქარელელმა ბესიკ ოდიშვილმა და საგარეჯოელმა ვალერი პარუნაშვილმა კი მესამე ადგილი დაიკავეს.

იქვე გამართულ ახალგაზრდულ შეჯიბრებაზე ჩვენმა სპორტსმენებმა კიდევ სამი („ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“) მედალი მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესთა სამეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 48, ბულგარეთი — 28 და საქართველო — 28 ქულა. მასპინძლებს უპირატესობა საპრიზო ადგილების მეტმა რაოდენობამ მოუტანა.

საჯარიმო ტყორცნები ვერ გამოიყენეს..

კალათბურთელ ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველმა საკვალიფიკაციო მატჩმა „ვითა“—„ჟალგირისი“ თბილისის სპორტის სასახლეში ათიათასიანი აუდიტორია მიიზიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თვითმყოფადმა ლიტვურმა კლუბმა ბალტიისპირელთათვის დამახასიათებელი მტკიცე სათამაშო დისციპლინით, ტაქტიკური სიმწიფით, საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებით ჩვენს ჩემპიონს სასარგებლო გაკვეთილი ჩაუტარა და შინ რვაქულიანი უპირატესობით — 78:70 (45:32) გაემგზავრა, თუმცა შესვენების შემდეგ მასპინძლებმა რამდენჯერმე სხვაობის 4 ქულამდე შემცირება შეძლეს. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: „ვითამ“ უჩვეულოდ ბევრი საჯარიმო ტყორცნა ვერ გამოიყენა.... მატჩის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშეებმა — ვახტანგ ნაცვლიშვილმა და რიმას კურტინაიტისმა შესაბამისად 26 და 21 ქულა მოაგროვეს.

14 სექტემბერს მეტოქეები კაუნასში შეხვდებიან ერთმანეთს.

დაჰკითხეს პარლამენტარი ჯაბა იოსელიანი

პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი რესპუბლიკის პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადდა, 7 სექტემბერს, 17 საათზე, დაკითხვა დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა, დაკითხვის თემატიკის გამჟღავნებისაგან გამოძიება თავს იკავებს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

გიწვევთ „არჩევნები“

კვირას, 10 სექტემბერს, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სხდომათა დარბაზში (ქ. თბილისი, მ. კოსტავას 14, V სართული) **გაიმართება საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების ხელშემწყობი ორგანიზაციის — მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „არჩევნების“ წევრთა შეკრება.**

დასაწყისი 14 საათზე.

9-10 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში ტარდება **საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის დამფუძნებელი ყრილობა.**

დელეგატების რეგისტრაცია 9-დან — 10 საათამდე.

მინა და სარკე

- **3, 4, 5 მმ-იანი**, სხვადასხვა ფერის;
- საკონტრაქტო და საბითუმო მიწოდება 40 პროცენტის ფასდაკლებით. მინიმალური პარტია 500 კვ.მ.;
- მოსახლეობის მომსახურება.

მისამართი: ქ. წამებულის 94 (რესტორან „ალაზანთან“); პ. ქავთარაძის 1/4 (ყოფ. პავლოვის ქუჩის ბოლოში). ტელ.: 74-68-68.

ფირმა „პოლაროიდი“

სამუშაოდ იწვევს ახალგაზრდა გოგონებს **ფოტოგრაფის** თანამდებობაზე. **ანაზღაურება მაღალია (ფოტოსაქმის ცოდნა სავალდებულო არ არის).**

მოგვმართეთ: **მარჯანიშვილის ქუჩა № 5.** (გამომცემლობა „საქართველოს“ შენობაში, II სართული), ტელ.: 95-48-35, 10-დან 16 საათამდე.

ხსოვნა

ლევან ასათიანი

ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოში რუსეთის ტელევიზიის კორესპონდენტთა ჯგუფის რედაქტორი ლევან ასათიანი.

იგი ქართველი ახალგაზრდობის იმ ახალი ტალღის წარმომადგენელი იყო, ვინც ადრე დაკაცდა და დაფიქრდა ძნელბედობის ჟამმა და ურთულესმა გარდამავალმა პერიოდმა. ეს თაობა საქართველოს უპირველესი იმედია.

ლევან ასათიანმა ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სხვა პროფესიას გაჰყვა — ოთხიოდე თვის წინათ ჟურნალისტის პროფესია აირჩია. ეს არჩევანი განსაზღვრა იმანაც, რომ მისი დედა — მაკა ასათიანი ცნობილი ჟურნალისტია, პირველი არხის პოპულარული სატელევიზიო პროგრამის „საქართველო და გარესამყაროს“ წამყვანი.

ლევანის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა გამოუქვეყნებელი ლექსები და ლიტერატურული ჩანაწერები, რომლებსაც ალბათ გარკვეული ხნის შემდეგ გაეცნობა მკითხველი. ლიტერატურული საქმიანობისადმი მიდრეკილება ლევან ასათიანს თავისი ბაბუისაგან — თვალსაჩინო მწერლისა და ლიტერატორისაგან ელიზბარ უბილავასაგან მემკვიდრეობით გადაეცა.

ლევან ასათიანი იყო მრავალმხრივ განათლებული, უცხო ენების ჩინებული მცოდნე, საქმიანი, შეუპოვარი, მაგრამ ერთდროულად თავმდაბალი და მოკრძალებული ყმაწვილკაცი. მის მიერ მომზადებული საქართველოს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები სისტემატურად გადაიცემოდა რუსეთის ტელევიზიით.

აუტანელია იმის შეგრძნება, რომ მისი სიცოცხლე უდროოდ ჩაქრა.

საქართველოს ტელერადიოკორპორაცია, მეგობართა ჯგუფი.

ქ. თბილისის მე-6 სამშობიარო სახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებს გურამ უბილავას დისშვილის

ლევან ასათიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლევან ხახუტას ძე ასათიანი

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

თბილისის ავიამეტეოროლოგიური ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ამავე ცენტრის ყოფილი თანამშრომელი

ლევან ხახუტას ძე ასათიანი

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ხსოვნა

მერი მალაზონია

ჩვენი სამეგობრო წრიდან მოულოდნელად წავიდა ჩვენი მშვენება და სინდისი — **მერი სევერიანის ასული მალაზონია.**

მერი გამორჩეული იყო სკოლაში, სამუსიკო სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა.

უაღრესად კოლორიტული ქართველი ვაჟკაცის — რეზო წეროძის (ისიც 58 წლის ასაკში გარდაიცვალა) ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი, თავდადებული დედა, ბრწყინვალე, იშვიათი გემოვნების მუსიკოსი, კეთილსინდისიერი პედაგოგი, გულისხმიერი, სათუთი მეგობარი, მეზობელი, ნათესავი — ასეთად ვიცნობდით.

წავიდა ჩვენგან. უანგარო, კდემამოსილებით, ქალური მშვენებით უხვად დაჯილდოვებული მერი, რომლის სახელსა და სახეს მეგობართა შორის დავიწყება არ უწერია.

თბილისის მე-5 საშუალო სკოლის ხელოვნების სტუდიის დირექცია და პედკოლექტივი.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო თანაგრძნობას უცხადებს მინისტრს ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია გიორგის ძე ინჯიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს შ.პ.ს. „საქპრესას“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მინისტრს, ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია გიორგის ძე ინჯიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს შ.პ.ს. „ელექტროკავშირის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მინისტრს, ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია გიორგის ძე ინჯიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მინისტრს, ბატონ ფრიდონ ინჯიას მამის

ილია გიორგის ძე ინჯიას

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

მარია ბაუერი

გარდაიცვალა ქართული ბალეტის ვარსკვლავი, სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მარია ბაუერი.

იგი დაიბადა 1909 წელს, თბილისში. 1925 წ. დაამთავრა მარია პერინის სახელგანთქმული სტუდია, სადაც აღიზარდნენ — ვახტანგ ჭაბუკიანი, ლილი გვარამაძე, ელენე ჩიქვაიძე, ირინე ალექსიძე და სხვ. შემდეგ სწავლობდა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მარია რომანოვას კლასში. 1930 წლიდან მარია ბაუერი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტია.

მარია ბაუერი ქართული საბალეტო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომელმაც დიდად განაპირობა მისი შემოქმედებითი დონე და საყოველთაო აღიარება მოუტანა მას. ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს მარია ბაუერი სცენაზე, მისი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ამ უნიკალური მოცეკვავის ცეცხლოვანი ტემპერამენტი, არტისტული აღმაფრენა და ქალური მომხიბვლელობა.

შემოქმედებითი კარიერის დასაწყისში მარია ბაუერი კლასიკურ პარტიებს ასრულებდა, შემდეგ კი ფეხის ტრავმის გამო, მთლიანად გადაერთო სახასიათო რეპერტუარზე. ამ ამპლუაში განსაკუთრებული ძალით გაიბრწყინა მოცეკვავის განუმეორებელმა ნიჭმა და ქართული ბალეტის ისტორიაში დარჩა როგორც ფენომენი და დღემდე მიუწვდომელი საოცრება.

ვახტანგ ჭაბუკიანი საგანგებოდ დგამდა ბაუერისათვის სახასიათო ნომრებს საბალეტო და საოპერო სპექტაკლში და სრულად ავლენდა მისი ტალანტის მრავალმხრივ შესაძლებლობებს, ხოლო მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა თავის კერპს სცენიდან, ნიშნად აღფრთოვანებისა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის სახასიათო რეპერტუარში ესპანური ცეკვები, სადაც ბაუერის საოცრად მოქნილი პლასტიკა და უზადო გემოვნება საბალეტო ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშებს ქმნიდა.

მარია ბაუერს უყვარდა საქართველო, თბილისი, თავისი მშობლიური თეატრი, სადაც ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა მის სცენას, შემდეგ კი იყო ასეთივე შესანიშნავი პედაგოგი, რეპეტიტორი. ბოლო რამდენიმე წელი იგი მოსკოვში ცხოვრობდა, ენატრებოდა თავისი სამშობლო და ანდერძის თანახმად, ქართულ მიწას ფერფლად დაუბრუნდა.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ეროვნული თეატრი.

შეიქმნა მ. ბაუერის დამკრძალავი კომისია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა გამოჩენილი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მარია ბაუერის დამკრძალავი კომისია გრიგოლ ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

მარია ბაუერი დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

რეზო მაღალაშვილი

ქართულმა საბალეტო ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი რევაზ მალალაშვილი.

1945 წელს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დღემდე მისი მთელი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებული იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან.

საუკეთესო სცენური მონაცემებით, შესანიშნავი აღნაგობით დაჯილდოებული ხელოვანი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ვირტუოზული ტექნიკით. ამიტომ მის მიერ შექმნილი თითოეული როლი, იქნებოდა ეს ზიგფრიდი „გედის ტბაში“, ბაზილი „დონ-კიხოტში“, ნურალი „ბახჩისარაის შადრევანში“, გორდა და სხვები მუდამ დასამახსოვრებელი იყო მაყურებლისათვის.

1965 წლიდან მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგიური განყოფილების დამთავრების შემდეგ რეზო მალალაშვილი გადაერთო პედაგოგიურ მოღვაწეობაზე და მთელ თავის გამოცდილებას და ცოდნას გადასცემდა ახალგაზრდა ბალეტის მსახიობებს.

რევაზ მალალაშვილი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით კოლექტივში, თავის ირგვლივ ყოველთვის ქმნიდა თბილ და მეგობრულ გარემოს.

ღრმა მწუხარებით ვიხრით ქედს რეზო მალალაშვილის ტალანტის წინაშე. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების, მოწაფეების და მეგობრების გულში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი.

შეიქმნა რ. მალალაშვილის დამკრძალავი კომისია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა ცნობილი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ მალალაშვილის დამკრძალავი კომისია გრიგოლ ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

რევაზ მალალაშვილი დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

პეტრე ლუკაშვილი



წავიდა ჩვენგან მრავალი სიკეთით შემკული, პერსონალური პენსიონერი, ბატონი **პეტრე დავითის ძე ლუკაშვილი.**

დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში. წლების მანძილზე მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე. სადაც კი იგი შრომობდა, სიყვარული და ადამიანებთან გულისხმიერი დამოკიდებულების ღრმა კვალი დატოვა.

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი, რამაც გული დასწყვიტა მის ოჯახს და მის ახლობლებს.

ოჯახი და ახლობლები.

მეუღლე მზია, შვილები ნინო, დავითი, სიძე თემურ დოლიძე, რძალი მარინა ჯაფარაშვილი, შვილიშვილები ლიკა, ნუცა, ნინუცა, დისშვილები დათო, თემურ, ნუგზარ მაჭავარიანები, მიშიკო, ეკა მაღრაძეები, ზურაბ ლელაშვილი ოჯახებით, დეიდაშვილები ნანა, ზიზო ბრეგაძეები, მძახლები ლეილა ხუჭუა, კაცა დოლიძე, მერი ხუციშვილი, თენგიზ ჯაფარაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე დავითის ძე ლუკაშვილი

პანაშვიდი 10, 11 IX, 5 ს., გამოსვენება 12 IX, 8 ს., ატენის ქუჩა № 8.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი-პედაგოგი

გიორგი პარმენის ძე გვენეტაძე

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა სამძიმარს უცხადებს პალატის წამყვან ინსპექტორს მერაბ ზაიცევს ძმის

ზურაბ ზაიცევის

გარდაცვალების გამო.

ნურავინ იტყვის, ავტომატით შაშვებზე ვნადირობო

არის დანაშაული, რომლის არგახსნა, ან ვერგახსნა უფრო დიდი დანაშაულია. ასეთ აუცილებლად გასახსნელ დანაშაულთა რიცხვშია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი. სიკვდილ-სიცოცხლის საქმე რომ არ იყოს, თავმოყვარეობის, ავტორიტეტის საქმეა, და, ნეტა, იმ გამომძიებელს, ამ ბოროტების ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს რომ ამხელს.

რა დავიმალოთ, მაქვს ამის იმედი. ყველა ფეხზეა, თითქოს დამატებითი სტიმული მიეცათ, „მეორე სუნთქვა“ გაეხსნათ. ვერ გრძნობენ, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისას, როგორ შემოათენდებათ თავზე. არც ოპერატიული მუშაკები, არც გამომძიებლები არ მალავენ, რომ ზღვა მასალაა, ძალიან დიდი სამუშაოა, ბევრი საინტერესო მონაცემი აქვთ.

ამ დანაშაულის გახსნა არა მარტო აგვაცილებს ახალ ტერორისტულ აქტებსა და ქვეყნის პრესტიჟს წამოწევს, არამედ, აგრეთვე, კარგა ხნით შეასრულებს წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების კატალიზატორის როლს, თავის ძალებსა და პროფესიონალიზმში დაარწმუნებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს.

— „ერთი ამოდენა ჯარი უნდა შეჰყარო კახეთის სამეფოში, გვერდში ძმურად ამომიდგე და შირვანში გამომყვე!

— შემახასთან ჩვენ ზავი გვაქვს, კონსტანტინე, ერთმანეთს კეთილმეზობლურად ვექცევით.

— ეგ არაფერს ნიშნავს! — კონსტანტინეს თვალებში ისევ იელვა რისხვისა და შურისძიების ცეცხლმა. — ზავი იმისთვის იდება, რომ ბოლოს დაირღვეს!

— მაშ, ეგ არის შენი პასუხი? გიაურო! რუსის ელჩები რისთვის გისხედან აქ? ქსელებს აბამ, დიდებულ შაჰს, ირანის მზეს სულთანზე და გიაურ რუსხელმწიფეზე სცვლი?“

ეს მცირე ამონაწერი რევაზ ჯაფარიძის ახალი რომანიდან „მხევალი უფლისა“, ჩვენს თანამედროვეობას, 29 აგვისტოს საზარელ აფეთქებასაც მიესადაგება. რა ამოძრავებდა ურჯულო კონსტანტინე-მირზას? რისთვის გაიმეტა მოსაკლავად მშობელი მამა? ძმა? პატარა ძმისწული?

— ტახტის დაკავება სურდა; მამა უკეთური დანაშაულებრივი საქმის საკეთებლად ვერ აიყოლია; დიდებულ შაჰს რუსხელმწიფეზე როგორ ცვლიო და ასე შემდეგ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალექსანდრე კარგი, ძლიერი მეფე იყო, ესეც არ მოსწონდა მავანს. სანამ გამოძიება არ გამოიტანს თავის ვერდიქტს, ძნელია თავდასხმის ჭეშმარიტი მიზეზების ანალიზი. არ ხედავთ, კონსტანტინეს რამდენი საბაბი ჰქონდა მეფე-მამის თავიდან მოსაშორებლად! ნაკლები საბაბი არც ედუარდ შევარდნაძის მოსაკლავად ჰქონდათ.

მირზა იმდენად გაკადნიერდა, რომ რძალს, დედოფალ ქეთევანს ცოლობა სთხოვა. ერი გაერთიანდა, ყველამ დაივიწყა წვრილ-წვრილი წყენა, იარაღი აისხა და დაამარცხა თვითმარქვია ტახტის მაძიებელი.

ღმერთმა გადმოხედა საქართველოს და მოღალატეს ამჯერად აუცდა მახვილი. ფაქტობრივად, ეს განსხვავებაა 5-6 საუკუნის წინანდელ ზაგემისა და თბილისის დღევანდელ ტრაგედიებს შორის. სხვა მხრივ, ორივე სპექტაკლი ერთი და იგივე სცენარით არის დადგმული. სირცხვილსაც, ღმერთს რომ არ გადმოეხედა, ერთნაირს ვჭამდით.

ერის გამთლიანების, უმძიმესი დანაშაულის შედეგების ლიკვიდაციის სიმპტომები დღესაც არის; უფრო მეტიც, თუ ასე წავა საქმე, ხვალ-ზეგ დამნაშავე აღარ დარჩება, რომ ერთად ვებრძოლოთ. ამის მიზეზიც ცნობილია: დამნაშავეთა სამყაროს ყველაზე რეაქციულმა ნაწილმა სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმით საბოლოოდ დაარღვია ზავი, რომელიც ისედაც უდღეური იყო და მისი ბედი ბეწვზე ეკიდა.

ამ ქცევით მაფიოზებმა უკან დასახევი ყველა გზა მოიჭრეს.

ეს გზა დავით აღმაშენებლისეული სახელმწიფოს მეთაურმაც მოიჭრა, მასთან ერთად სამართალდამცავმა ორგანოებმა.

„ერთად უნდა ვებრძოლოთ“

სიმინდს აღმოსაცენებლად 12-14 გრადუსი სითბო სჭირდება. გველიც დათბობისთანავე გამოდის ხვრელიდან. ჩვენს მაფიოზებს არც დათბობა აწუხებდათ და არც აცივება, ყოველგვარ ამინდში თავს კარგად გრძნობდნენ, მათ ხომ იარაღი და დოლარი იფარავდა.

სახელმწიფოს მეთაურმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად თავიდანვე მართებული მეთოდი აირჩიეს. რა ზიანის მომტანია ბზიკი უნესტაროდ ან გველი უშხამოდ. თუ მაფიოზებს იარაღი აღარ ექნებოდათ და ფულის შოვნის ყველა გზა გადაკეტებოდათ, რისი მაქნისი იყვნენ, რა ზიანის მოტანა შეეძლოთ?

ამიტომ ებღაუჭებოდა მაშველთა კორპუსი იარაღს. ავტომატის ჩაბარება ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავდა. ეს მათაც კარგად იცოდნენ და ჩვენც.

ტერაქტამდე 4 დღით ადრე რესპუბლიკაში მძლავრი, ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება განხორციელდა. დააპატიმრეს ბოროტმოქმედთა 21 ჯგუფი, ამოიღეს 211 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 48 ავტომატი, 23 პისტოლეტი, 236 ხელყუმბარა, 30 ჭურვი და რაკეტა. რომელ დამნაშავეს მოეწონებოდა ასეთი შედეგები?

დაუკანონებელი იარაღი ყოველთვის გულისხმობს ბოროტმოქმედებას. მშვიდობიანობის დროს, სხვა რა მიზნისთვის შეინახავდა ერთი კაცი, არა ერთ, არამედ რამდენიმე სხვადასხვა სახეობისა და სისტემის იარაღს? რამდენი იარაღი ამოიღეს პარლამენტის შენობიდან? რამდენი იარაღი უპოვეს ყოფილ სახელმწიფო მრჩეველს ალექსანდრე ბოჭორიშვილს?

14 500 დოლარი, რომელსაც ტრუსში ინახავდა?

მე სულაც არ ვცდილობ, 29 აგვისტოს ინციდენტისა და „მხედრიონის“ განიარაღების პროცესის ურთიერთდაკავშირებას. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ როცა იარაღიც არის და სამიზნეც, ჩახმახის გამომკვრელიც მოიძებნება. ნურავინ იტყვის, ავტომატით შაშვებზე ვნადირობო, ამდენად, ეჭვის გაჩენა გარდაუვალია, და არავინ დასდებდა ბრალს ვინმეს რომელიმე დანაშაულის ჩადენაში, დროულად რომ განიარაღებულიყო.

საკვირველია, რა მაგალითი უნდა მიეცა ხობელებისთვის რაიონის გამგებელს თეიმურაზ გერგაიას, რა სამსახური უნდა გაეწია მშობლიური რაიონისათვის, როცა ძარღვებში „ნორფინს“ იშხაპუნებდა, სახლში მთელი არსენალი ჰქონდა..

ნამდვილი ამბავია: სამ სანადიროდ წასულ მამაკაცს გზაზე ზვავი წამოეწია. ერთი მოიტაცა და დათვის ბუნაგში ამოაყოფინა თავი. მოვიდა გაზაფხული. ერთ დღეს, ყველასგან გამოტირებული კაცი სოფელში დაბრუნდა: წმინდანს ჰგავდა: გამშვენიერებულიყო, გალამაზებულიყო, წვერი მკერდზე სცემდა. დათვს ღირსეულად მიეღო სტუმარი, ღირსეულად გამოეკვება, გამოეზამთრებინა და თოვლის აჭრელებისთანავე გამომშვიდობებოდა. ისეთი დათვია, ისეთი მსუქანია... ეს იყო თურმე იმ კაცის ბოლო სიტყვები... აისხეს სოფლელებმა სანადირო თოფები და... გამოძინებულა დათვი ჯერ კიდევ ბუნაგის ახლოს ტრიალებდა. ესროლეს. ერთი დაიბუბუნა მხეცმა და მხოლოდ იმას გამოენთო, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ, საკუთარი თათით კვებავდა. შემოაკვრა ტორი, შემოანარცხა ხეს და წავიდა თავისი გზით.

იმედი მაქვს, იმ დათვივით ჩვენც მოვახერხებთ ნამდვილი დამნაშავის მონახვას.

ცხოვრება კიბეაო, თქვა ერთმა ბრძენმა.

ამ კიბეზე ასვლაც ღირსეულად უნდა შეძლო კაცმა და ჩამოსვლაც....

ზაურ მაკარაძე.

ისარგებლეს მინიჭებული უპირატესობით

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მშენებარე საწარმოების გაერთიანებული დირექციის შენობა-ნაგებობა უკონკურსოდ, იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გადაეცა შრომით კოლექტივს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1995 წლის 1 აგვისტოს გამოაქვეყნა საკონკურსო განცხადება ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზ. № 17 ა-ში მდებარე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მშენებარე საწარმოების გაერთიანებული დირექციის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დირექციის შრომით კოლექტივს უპირატესი უფლება ჰქონდა იჯარით აღებაზე, თუ ამის თაობაზე სამინისტროში განაცხადს წარმოადგენდა განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში.

ვინაიდან ორგანიზაციის შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით და დადგენილ ვადაში შემოიტანა განცხადება, აღნიშნული შენობა-ნაგებობა უკონკურსოდ, იჯარით ქონების გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ამავე კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484, ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.